

საერთო განცხადება

№39 (772)
ოთხშაბათი
13 ნოემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.

**გაიღენის საქართველოს მიმართ მხდარი პოლიტიკა
ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნისთვის სასიკეთოდ გამოიყენა**



**ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები
ღონელ ტრამპმა მოიგო**





ირაკლი კობახიძე: ჩვენ გვაკავშირებს კალიან ვნიშნელოვანი სტრატეგიული პროექტები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს შეხვდა.

პირისპირ შეხვედრა ბაქოში, გაეროს კლიმატის ცვლილების 29-ე კონფერენციის ფარგლებში გაიმართა.

მხარეებმა კონფერენციაზე განსახილველ საკითხებსა და ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობაზე ისაუბრეს. ხაზი გაესვა სხვადასხვა სფეროში წარმატებულ თანამშრომლობას და რეგიონული მნიშვნელობის ერთობლივი პროექტების როლს ქვეყნებისა და რეგიონის განვითარებისთვის.

შეხვედრისას, ასევე ყურადღება დაეთმო რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს. მხარეებმა დაადასტურეს მზადყოფნა, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას.

„მონაწილეობას ვიღებთ გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციაში. კონფერენციის ფორმატში გვექნება ასევე შეხვედრების გამართვის შესაძლებლობა.

და დღეს მოხარული ვარ, რომ მქონდა შეხვედრის შესაძლებლობა ბატონ ილჰამ ალიევთან, სადაც ვისაუბრეთ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე, სტრატეგიულ პარტნიორობაზე, მეგობრულ ურთიერთობებზე, რომელიც აკავშირებს ჩვენს ორ ქვეყანას. საუბარი გვექონდა მათ შორის, დარგობრივ თანამშრომლობაზე, სხვადასხვა მიმართულებით ჩვენი პარტნიორობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებაზე. გვექონდა ძალიან მეგობრული და პროდუქტიული შეხვედრა ყველა თემასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაზეც ჩვენ გვექონდა საუბარი, ეს იყო ენერჯეტიკა და ენერგოუსაფრთხოება, დაკავშირებადობა. ჩვენ გვაკავშირებს ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროექტები, ასევე ერთად ვმუშაობთ ამ მიმართულებით თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებაზე, მათ შორის, შუა დერეფნის ინიციატივის ფარგლებში. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაღრმავდება ჩვენი პარტნიორობა“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძემ ილჰამ ალიევს ოფიციალური ვიზიტით საქართველოში მოიწვია.

„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა არის კალიან დიდი

„ისინი ერიდებოდნენ ამ კანონის წინააღმდეგ გამოსვლას წინასაარჩევნო პერიოდში, ახლა დასრულებულია არჩევნები და უფრო თამამად ასრულებენ იმ დავალებას, რომელსაც გარედან იღებენ. ისინი, რეალურად, ხედავენ, რომ მათ არაფერში აწეობთ ამ კანონის წინააღმდეგ გალაშქრება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ გადაწყვეტილებებს იღებენ არა ისინი, არამედ, ასე ვთქვათ, მათი პატრონები, გარედან, მათ უწევთ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც არის აბსოლუტურად არაპოპულარული. გახსოვთ, თავის დროზე მათ მხარი არ დაუჭირეს ამ კანონპროექტს, როცა ის მიიღებოდა პარლამენტში. ესეც, რა თქმა უნდა, იყო დავალების შესრულება, არაფერში აწეობდათ მათ ამ ნაბიჯის გადადგმა, ახლაც მოქმედებენ გარე დავალებების შესაბამისად,“ - განაცხადა პრემიერმა.

მას შემდეგ, რაც ცვლილებები მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თავად ამერიკელები აპირებენ იმ ტიპის კანონის მიღებას, რაც ჩვენ მივიღეთ საქართველოს პარლამენტში, აქ საქმე ეხება ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს ბაქოში განუცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, რეალურად, ეს არის კიდევ უფრო მძაფრი პრობლემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამომდინარე იქიდან, რომ იქ არაერთი მიმართულებით სამწუნარო ტენდენციები კიდევ უფრო მძაფრად გამოიკვეთა.

„ჩვენ თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ ამ კანონში რაიმე არის ცუდი, მაშინ კი ბატონო, ვიმსჯელოთ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თითოეული ნორმა, რომელიც არის გაწერილი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონში, ემსახურება სწორედ შესაბამის ინტერესებს, ეს ემსახურება საზოგადოების და ქვეყნის ინტერესებს.

იგივე ეხება გამჭვირვალობის კანონს. თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ NGO-ების გამჭვირვალობა არის ცუდი და არა პირიქით, მაშინ კი ბატონო, ვიმსჯელოთ.

ჩვენ ყოველთვის ვიყავით ღია დისკუსიისთვის. მე პირადად, არაერთხელ მოვიწვი დებატებში თუ დისკუსიაში შესაბამისი სუბიექტები, მათ შორის, უცხოელი დიპლომატები, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, პროტესტის მონაწილეები, პოლიტიკური პარტიები. ყოველ ჯერზე ისინი ამბობდნენ ამ დისკუსიაზე უარს იმითომ, რომ სინამდვილეში არაფერი აქვთ სათქმელი არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური თვალსაზრისით.



რისით, მაგრამ კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ ვართ ღია დისკუსიისთვის. თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ NGO-ების ბუნდოვანება არის უკეთესი, ვიდრე მათი გამჭვირვალობა, თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ ოჯახური ფასეულობების და არასრულწლოვანთა დაცვა არ არის მნიშვნელოვანი, მაშინ კი ბატონო, მაგრამ ამას სჭირდება ჯანსაღი დისკუსიები და არა ასეთი უხეში საუბრები, რასაც ჩვენ ხშირად ვისმენთ ხოლმე.

ჩვენ ყოველთვის ვიყავით და დღესაც მზად ვართ საჯარო დისკუსიისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს დისკუსია შედგეს საჯაროდ, საზოგადოებამ მოისმინოს რეალურად ეს დისკუსია და გაირკვეს, რა არის ამ დისკუსიის შინაარსი. დღემდე ჩვენ რასაც ვხედავთ, ჩვენ ვსაუბრობთ არგუმენტებით და არაინ ამ კანონების ოპონენტები, რომლებიც არგუმენტების გარეშე აკეთებენ უხეშ განცხადებებს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ შედგეს საჯარო დისკუსია. საზოგადოების თვალწინ უნდა შედგეს ასეთი საჯარო დისკუსია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ ან ერთი ან მეორე მიმართულებით რაიმე სამართლებრივი პრინციპები ირღვევა, ან სხვა კუთხით არის პრობლემაური ეს თუ ის კანონი, კი ბატონო, მაგრამ ჩვენ გვეჭირდება არგუმენტები ამასთან დაკავშირებით“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი კობახიძე: ევროკავშირის რვა ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეების საქართველოში ვიზიტი არ ემსახურება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბაქოში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, დელეგაციის წევრთა ნაწილი პირდაპირ იყო ჩართული საარჩევნო აგენტურაში და უხეშად არღვევდა საარჩევნო პრინციპებს.

„ჩვენ თავი შევიკავეთ ამ ადამიანებთან შეხვედრისგან ერთი მარტივი მიზეზის გამო, ამ დელეგაციის წევრთა ნაწილი იყო პირდაპირ ჩართული საარჩევნო აგენტურაში და თავად არღვევდა უხეშად საარჩევნო პრინციპებს. როდესაც ის ადამიანები გვესაუბრებიან ჩვენ არჩევნების ლეგიტიმაციაზე, რომლებიც თავად არღვევდნენ საარჩევნო პრინციპებს, ამას პირველ რიგში, საზოგადოება სათანადოდ შეაფასებს. არ შეიძლება,

შენ თავად არღვევდე საარჩევნო პრინციპებს, აკეთებდე ამას უხეში ფორმით და მერე საუბრობდე იმაზე, ხომ არ არის დარღვეული არჩევნების ორგანიზების დროს საარჩევნო პრინციპები. ასეთ ადამიანებთან შეხვედრა არ იყო მიზანშეწონილი, ამ დელეგაციაში არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავად არ არღვევდნენ საარჩევნო პრინციპებს, არ იყვნენ ჩართული საარჩევნო აგენტურაში, თუმცა ყველა შემთხვევაში ამ ვიზიტის სულისკვეთება სამწუნაროდ, არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. მათ პირდაპირ ჰქონდათ საუბარი პრესკონფერენციაზე ხალხის ნების წინააღმდეგ ხელისუფლების ცვლილებაზე, ეს არ არის ის დამოკიდებულება, რომელიც უნდა ჰქონდეს ევროპულ პოლიტიკოსს სუვერენული ქვეყნის მიმართ. აქედან გამომდინარე, ჩვენი პოზიცია ამ ვიზიტის მიმართ, არის შესაბამისი“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რვა ევროპელ „მეგობარს“ გეზი საქართველოს ნგრევისკენ აქვს აღებული



გვესაუბრება პოლიტიკოსი, ანალიტიკოსი პეტრე მამრამძე

— ბატონო პეტრე, საქართველოში ევროკავშირის წევრი რვა ქვეყნის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები იმყოფებოდნენ, რომლებიც ოპოზიციის აქციას შეუერთდნენ და ტრიბუნადან მომითინებებდას მიმართეს. რა მიზანს ემსახურება ეს ვიზიტი და როგორ შეაფასებთ მათ გზავნილებს?

— ეს ყოველად გაუგონარი რამ არის. საუბარს ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, მიხაილ როთისგან დავიწყებ, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ წლების წინ იმყოფებოდა. იგი მაშინ გერმანიის მინისტრი გახლდათ, ევროპის საკითხებში. ჟურნალისტებმა მას, თავის სფეროდან, შეკითხვები დაუსვეს და იმდენად არაკომპეტენტური პასუხები გასცა, გაოგნებული დავრჩი. შემდეგ თავად დაუხვეს კონკრეტული შეკითხვები დემოგრაფიულ, ემიგრაციასა და მიგრაციის თემებზე. ამ საკითხებზე მაშინ ბუნდესტაგის კანონი ახალი მიღებული ჰქონდა. ისეთი პასუხები მივიღე, გულწრფელად გამიკვირდა: როგორ გახდა ეს ახალგაზრდა კაცი მინისტრი ისეთ ქვეყანაში, როგორც გერმანიაა-მეთქი. მოგვიანებით ამისხსნეს, რომ იგი ჰომოსექსუალი იყო და მხოლოდ და მხოლოდ ამ ნიშნით დააწინაურეს და არა პროფესიონალიზმის გამო. დიახ, რადგან სექსუალურ უმცირესობას მიეკუთვნებოდა, შეიძლება მინისტრობას სულაც არ იმსახურებდა, მაგრამ მაინც დანიშნეს. აქვე იმასაც გავიხსენებ, რომ ფიგინანტის პავლიონისის გამო, რომელიც ახლა ასევე საქართველოში იმყოფება და ტრიბუნადან ჭკუას გვარიგებს, ლიეტუვას პრეზიდენტი ბოდიშებს გვიხდის. დიახ ლიეტუვას პრეზიდენტი საქართველოში იყო ჩამოსული და პავლიონისის მიკერძოებულობის გამო, ბოდიში მოგვიხდა. ფიგინანტისი მაშინ პირდაპირ აცხადებდა — აქ ჩემს მეგობრებთან, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ჩამოვედი.

გსვამ ლოგიკურ კითხვას: როგორ მოხდა, ამ რვა ქვეყნის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეების დამეგობრება ქართველი ხალხის თვალში სრულიად სახელგატეხილ ადამიანებთან?! დიახ, როგორ დამეგობრდნენ იმ ხალხთან, რომელთა დიდი ნაწილი სააკაშვილის სადისტურ რეჟიმს და

კლესტოკრატის ემსახურებოდა?! სამწუხაროდ, ამ რვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის, პროდასავლელები სწორედ ის ხალხი არიან, რომელთა გვერდითაც ტრიბუნებზე იდგნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

აქვე აღვნიშნავ, რომ ამ აღზევებული ლექსის გარდა, საქართველოში ნამდვილი ოპოზიცია არ გამოჩნდა. ამიტომაც არის, რომ ყველა კეთილი ნების ადამიანი, მათ შორის, ბიზნესმენები სხვა ალტერნატივას ვერ ხედავენ და მხარს „ქართულ ოცნებას“ და პირადად, ბიძინა ივანიშვილს — საქართველოს ისტორიაში უდიდეს ქველმოქმედს უჭერენ. ახლა, არნახული ეკონომიკური ზრდა გვაქვს და ადამიანის უფლებებზეც უმაღლეს დონეზეა დაცული — არავინ არავის აწამებს და არც ქონებას ართმევენ ვინმეს, როგორც ეს მაშინ რეჟიმის დროს ყოველდღიურად ხდებოდა. საქართველოს კიდევ აქვს შესაბამისი შეფასებები არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციიდან. ამ დროს ეს რვა ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოდის და იმდენს კადრულობს, რომ ხალხს პირდაპირ არეულობისკენ, დესტაბილიზაციისკენ მოუწოდებს. სხვათა შორის, გერმანიის საელჩოს მსგავსად, არც ამით აინტერესებთ ის, რომ დასავლეთის ყველაზე კომპეტენტური ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში შექმნილ ვითარებას სწავლობენ, საქართველოს მაღალ ტეიინგებსა და ინდექსებს ანიჭებენ. ამ შედეგებს საქართველომ პირველად სწორედ ბიძინა ივანიშვილის პერიოდში მიაღწია, მანამდე მსგავსი არაფერი ყოფილა. ამ რეიტინგების თანახმად ბევრად წინ ვუსწრებთ უკრაინას, მოლდოვას და, სხვათა შორის, ბალკანეთის ქვეყნებსაც, რომელთაც კანდიდატის სტატუსი აქვთ. ამ რვა პირისთვის, რატომღაც, ეს მნიშვნელოვანი არ არის, გენი მხოლოდ ქვეყნის ნგრევისკენ აქვთ აღებული, რაც დასაწყისია.

ასე რომ, როთის და სხვათა გაჟღერებული გზავნილები სრული სიყალბეა. თუ ვინმეს ამ რვა პერსონის გულწრფელად სჯერა, ძალიან მეცოდება და მიმაჩნია, რომ ასეთი ხალხი, არაადეკვატურია. ოპოზიცია შეგნებულად თადლითობს, როცა ამბობს, რომ თვითონ ევროპაა და „ქართუ-

ლი ოცნება“, თურმე — რუსეთი. როგორ შეიძლება მიშა ევროპა იყოს. სწორედ სააკაშვილზე წერდნენ, ცნობილი ამერიკელი და ევროპელი პოლიტოლოგები, რომ პუტინს მისი პირადი აგენტიც კი ვერ შეუსრულებდა იმას, რაც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, რუსებს თავისი ხელით გაუკეთეს. ამ რვა ადამიანისთვის, არც ეს არის საინტერესო. ამიტომ მათ მიმართ არ შეიძლება რაიმე ნდობა ჰქონდეს არცერთ საღად მოაზროვნე ადამიანს საქართველოში. ეს ან პოლიტიკური თადლითობის გამოვლინებაა ან სრული არაადეკვატურობის.

— სანამ ევროპული დელეგაცია აქციაზე გამომჩნდებოდა, იმ დღით ზურაბიშვილს შეხვდნენ, რომელმაც სიამაყით აღნიშნა: კრიზისი სახეზეა და ჩვენი მეგობრები აქ არიან, რათა ჩვენთან ერთად მოიპოვონ გზები, რითაც საქართველო კრიზისიდან გამოვა.

— გასაკვირი არაფერია, ეს ქალბატონი ანტიქართულ, ანტი-ევროპულ მოღვაწეობას აგრძელებს. ჯერ პრეზიდენტის ფიცი დაარღვია უხეშად, რაც დიდი დანაშაულია. შემდეგ, ამას საქართველოს კონსტიტუცია მიაყოლა, რომლის დამცველიც, წესით, თავად უნდა იყოს. პრეზიდენტს ეს პირდაპირ ევალება. იგი დღემდე აგრძელებს დაწვებული უბინძურესი პროვოკაციით, ერისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას. გახსოვთ, დავით გარეჯში რომ მივიდა და გამოაცხადა: ქართულ მიწაზე ვდგავარო და საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა, აზერბაიჯანთან მოლაპარაკება სასწრაფოდ დაასრულეთ და საზღვრის დემილიტაცია-დემარკაცია მოახდინეთ. ხომ გვახსოვს, როგორ განვითარდა მოვლენები ამ უბინძურესი პროვოკაციის შემდეგ. ხელისუფლებამ ვითარების დამშვიდება შეძლო. ადამიანს, რომელსაც შეუძლია საკუთარ ერს ასეთი რამ გაუკეთოს, თანაც პატრიოტიზმის ნიღბის ქვეშ, რა უნდა მოსთხოვო?! ისიც ცნობილია, რომ ოპოზიცია — ეს ანტიევროპული ძალა ზურაბიშვილს დაპირდა, თუ ჩვენს მოთხოვნებს შეასრულებ, პარლამენტში უმრავლესობით რომ მოვალო, პრეზიდენტად ისევ შენ ავირჩევთო.

რაც შეეხება კრიზისს, რის მოგვარებასაც იგი თურმე როთის და მისი მეგობრების დახმარებით აპირებს, ეს სასაცილოც აღარ არის. გახსოვთ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მერე, ოპოზიცია რომ გაჰყვიროდა: კრიზისია, კრიზისიო. და, სად იყო ეს კრიზისი? — მხოლოდ ოპოზიციური არხების ტელეეკრანებზე! სხვაგან კრიზისი არსად იყო, ეკონომიკაც მშვენივრად ვითარდებოდა და სტაბილურობაც იყო. მაშინ სრული კრაზი განიცადეს და ბოლოს პარლამენტში შევიდნენ. ადამიანები ზუმრობდნენ: კრიზისი იწყება, როცა ტელევიზორს ჩართავ და რომ გამოვთავ, კრიზისი სრულდებაო. ახლაც იგივე ხდება, სადმე ხედავთ კრიზისს?! რომელიმე სახელმწიფო ინსტიტუტი არ ფუნქციონირებს, თუ რისი კრიზისია?!

დუს პირდაპირ სამიტზე მიულოცა. ეუთო/ოდირის დასკვნაში არსად წერია, რომ იქ არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდა, მაგრამ ამაზე ხმას არავინ იღებს. არც ბაიდენს დაუგმია მოლდოვას არჩევნები. ამ არაერთი უსამართლობის ფონზე პრემიერის ბუდაპეშტის სამიტში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი იყო. ასევე, მისი გზავნილებიც ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, ევროკავშირთან ურთიერთობაზე და, ზოგადად, საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. მან ცალსახად აღნიშნა, რომ ჩვენი მიზანი ევროპაში ღირსებით შესვლაა.

ახლა იმას გეტყვი, რაც ხელისუფლებამ საჯაროდ არ უნდა განაცხადოს და მადლობა იმისთვის, რომ ასეც იქცევან, მაგრამ მე, როგორც დამოუკი-



— ბატონო პეტრე, ახლანა, ბუდაპეშტში ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტი გაიმართა, რომელშიც პრემიერი კობახიძეც მონაწილეობდა. რას გვეტყვი სამიტის მნიშვნელობაზე?

— ბუდაპეშტის სამიტი, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. საქმე ის არის, რომ კოლექტიური ნაცების ერთადერთი საყრდენი სრული გაკოტრების ფონზე ის არის, რომ განუწყვეტლივ იმეორონ, დასავლეთი მხარს ოპოზიციას უჭერს, მმართველი პარტია კი სრული იზოლაციაში ჰყავსო. ნაწილობრივ, ჯორჯ მარშალის გერმანიის ფონდისა და მაკკენის ინსტიტუტის ანგარიშებში გაწერილი გეგმა ხორციელდება, სადაც პირდაპირ ეწერა: თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, არჩევნები გაყალბებულიად გამოცხადდება და დასავლელი ლიდერები ამ ხელისუფლებას ლეგიტიმურად არ ცნობენო. ამ გეგმის ამოქმედება დაწვებულია — საქართველოს ჯერ არ მიუღია მოლოცვები არც საფრანგეთიდან, არც გერმანიიდან, ბრიტანეთიდან... სამიტზე მაკრონმა დაგვტუქსა: არჩევნები დარღვევებით ჩატარდა და დროულად გამოიძიეთო. რაც უტიფარი ცილისწამებაა. ამ დროს მოლდოვაში გამართული არჩევნები, რომელიც სერიოზული ხარვეზებით ჩატარდა, ლეგიტიმურად ცნეს. მეტიც, მაკრონმა სან-

დებელმა ანალიტიკოსმა, შემოძლია სრული სიმართლე გითხრათ. სწორედ ეს არის ამპარზენი, რომ პოლიტიკორექტულობის გამო ევროპა თვალთმაქცობს და სიმართლეს არ ამბობს, რაც მას ღიპავს. კერძოდ, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, სანამ აქ რუსეთის ბაზება განთავსებული, თან, პუტინის ნებისმიერ დროს შეუძლია, სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთოს, აფხაზეთი კი, როგორც ზუგდიდის აცხადებს, მზად არის, რუსეთთან ერთად სამოკავშირეო სახელმწიფოს წევრი გახდეს, ამ ფონზე ევროკავშირიდან კომპარულ სიზმარშიც კი არავინ იფიქრებს, რომ საქართველოს გაწვევრიანებაზე დავლაპარაკოს და მასთან ეს საკითხი სერიოზულად განიხილოს. საზღვრის დემილიტაცია-დემარკაციაზე საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი, ჩვენ დადგენილი საზღვარი არც სომხეთთან გვაქვს, არც აზერბაიჯანთან, რისი მოგვარებაც საკმაოდ რთული იქნება. დასავლეთმა, ნაცვლად იმისა, რომ კორექტულად თქვას: გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ევროკავშირში თქვენი მიღება არ შეგვიძლიაო, ჩვენს მიერ მიღებული კანონების გაუქმებას გვთხოვენ. არადა, საქართველოს პარამეტრები ბევრი მიმარ-



ბაიდენის საქართველოს მიმართ მხარე უკონკრეტო პოლიტიკა ბიძინა ივანიშვილია ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენა



გვესუბერება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ჩიბურდანიძე

ბაიდენის ლიდერობაა. მათ შორის არიან ურსულა ფორ დენ ლაინი, შოლცი და სხვა ევროპელი ლიდერები, რომლებიც ტრამპის შესახებ დამკინებულ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს აქვეყნებდნენ. ამავე ურუნალისტებმა იპოვეს და გვარჯენეს, თუ როგორ წაშლეს ამ პოლიტიკურმა ლიდერებმა სოციალურ ქსელში თავიანთი განცხადებები, მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა არჩევნებში გაიმარჯვა. იგივე მოუვა გერმანიის დღევანდელ ელჩს საქართველოში. ვინც დღეს საქართველოს და ჩვენს ხელისუფლებზე შეურაცხმყოფელ განცხადებებს აქვეყნებს და რეკოლუციისკენ მოგვიწოდებს, მოუწევთ ამ განცხადებების წაშლა და ბოდიშის მოხდა.

სიტუაცია იცვლება მსოფლიოში, რადგან ამერიკაში გაიმარჯვა მან, ვის გამარჯვებასაც არ ელოდნენ. ასე რომ, ევროპელი ლიდერების ყველა განცხადება გედის სიმღერას ჰგავს. მათი პოლიტიკა დამარცხდა ამერიკაში და ეს ახლა მთელ ევროპას მოედება.

- რა იცვლება მსოფლიოში აშშ-ის პრეზიდენტად ტრამპის მეორედ არჩევის შემდეგ?

- მთავრდება ომის პოლიტიკა და დასასრულისკენ წაიყვანენ რუსეთ-უკრაინის ომს. ეს არ იქნება მართლაც პროცესი, რადგან კონფერენსებში გამართულ შეხვედრებზე ევროპელმა ლიდერებმა, საგარეოაფაოდ, სწორედ ტრამპის გასაგონად განაცხადეს, რომ უკრაინის მხარდაჭერა ამ ომში

უსაფრთხოება დაეცა ამერიკის და არა საკუთარი ფულით!

მე რატომღაც ველი, რომ ტრამპი ბაიდენის ხელისუფლების მაკომპრომეტირებელ ფაქტებს და დოკუმენტებს ამოატივტივებს. ყველას აქვს შეკითხვა, რატომ დაიწყო რუსეთმა უკრაინის ომი: იმიტომ, რომ მას მოუშადაეს წინასწარ მიუღებელი პირობები თუ გამოიწვიეს იმისთვის, რომ შესულიყო უკრაინაში საომრად?! რაში სჭირდებოდა ეს ომი ამერიკას?! კი ბატონო, ნატო-ს სჭირდებოდა უკრაინის ტერიტორია, რომ უფრო ახლოს მისულიყვნენ რუსეთთან, მათ უნდოდათ გაფართოება აღმოსავლეთით და დაეუშვათ, ამისთვის დაიწვეს ბრძოლა, მაგრამ ნუთუ ამერიკის პოლიტიკურმა გუნდმა არ იცოდა, რა შედეგები მოჰყვებოდა რუსეთთან ომს? რუსეთთან ომს რომ ვერ მოიგებდნენ, თუკი ნატო არ ჩაერთვებოდა, ეს ყველამ იცოდა! ნატო რომ ჩართულიყო, უკვე მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა! მართალია, ბაიდენი ძალიან სუსტი პრეზიდენტი იყო, მაგრამ ამერიკას რომ მხოლოდ პრეზიდენტი არ მართავს, ყველამ ვიცით. ამერიკას მართავს გუნდი და შეუძლებელია, მათ წინასწარ არ გაეთვალათ ის რისკები, რომ რუსეთი, რომლის პოლიტიკა მხოლოდ იარაღზეა დაფუძნებული, საკუთარ ძალას სრულად გამოიყენებდა. ბოლოს და ბოლოს მას ჩრდილოეთ კორეა ედგა გვერდით და ალბათობა, რომ რუსეთი

რობა კონკრეტულ თემაზე? ბევრი შეკითხვა და ვფიქრობ, ტრამპი ამ შეკითხვებზე ნაწილობრივ მაინც გაგვცემს პასუხს.

- როგორ ფიქრობთ, შეიცვლის დამოკიდებულებას ამერიკის ადმინისტრაცია საქართველოს და მისი ხელისუფლების მიმართ?

- ზოგადად, ამერიკა საგარეო პოლიტიკას ასე მარტივად არ ცვლის, თუმცა აკორექტირებს. ის, რომ ურთიერთობები გადაიტვირთება ჩვენსა და ამერიკის შორის, ფაქტია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ტრამპი ჩინეთთან არის დაპირისპირებული. ბუნებრივია, ორი გიგანტი სახელმწიფო - ამერიკა ჯერ კიდევ ზესახელმწიფო და ჩინეთი, რომელმაც შეიძლება ძალიან მაღლე შეიძინოს ზესახელმწიფოს სტატუსი მსოფლიოში, ცდილობს, ლიდერობა შეინარჩუნოს. დონალდ ტრამპი თავისი პრეზიდენტობის პირველ პერიოდში ღიად ამბობდა, რომ არ უნდა მივცეთ გასაქანი ჩინეთს, რომ ის გახდეს მეორე პოლუსი მსოფლიოში, მაგრამ მოხდა ზუსტად ის, რაც მას არ უნდოდა! რაც არ იყო სასურველი ამერიკისთვის, თუმცა, სხვა საკითხია, ეს ფაქტი როგორ აისახა საქართველოზე?

ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდში, სააკაშვილის შემოყვანიდან დაწყებული, და განსაკუთრებით ბოლო ორი წელი, როცა ომის ციციხლის ხაზზე ვიარეთ, ჩვენ-

დაიწყებოდა რუსეთ-უკრაინის ომი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ვერც ჩინეთი გააკეთებდა ამ დონის პოლიტიკურ განაცხადს მსოფლიოში. რაც მთავარია, საქართველო- ჩინეთს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტი არ გაფორმდებოდა, რადგან ტრამპი ამას არ დაუშვებდა. ალბათ, ვერ შეეძლებოდა, ასევე, ანაკლიის პროექტში ჩინური კომპანიის შემოყვანას. არადა, საქართველოს სჭირდება აღმოსავლეთის დერეფანი იმისთვის, რომ გაიძლიეროს ეკონომიკა და გახდეს რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენ არა ვართ ჯერ დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეს ფორმალურად, მხოლოდ ფურცელზე წერია. სანამ მსოფლიო ბანკის კაპიტლებზე ვართ ჩამოკიდებული, სანამ ამერიკა და ევროკავშირი ქართველ ენჯელებს ამარაგებს, ხალხი კი მშვიდი გვეავს და იცლება საქართველო მოსახლეობისგან, - დამოუკიდებელი ქვეყანა ვერ გახდება! ეკონომიკა როგორ უნდა გაგვეძლიერებინა, თუკი აღმოსავლეთის პოლიტიკა და ეკონომიკა არ გაივლიდა საქართველოზე?! მოდი ვთქვათ, რომ ბაიდენის სუსტმა პრეზიდენტობამ საქართველო ახვირა.

საქართველოს მიმართ, მე ვფიქრობ, ტრამპს ექნება შემდეგი პოლიტიკა: ის მიიღებს მოცემულობად, რომ ჩვენ შევიძინეთ კიდევ ერთი ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი ჩინეთის სახით. აქ მას დახვდა ჩინური ეკონომიკა შემოსული და ამ ხელშეკრულების ანულირება შეუძლებელია. ვფიქრობ, ტრამპი შეეცდება, ქართველ ხალხში ამერიკის შეღავათი იმიჯის გამოსწორებას, შეეცდება, იყოს ჩინეთთან შედარებით კონკურენტუნარიანი სახელმწიფო საქართველოსთვის. ანუ, თუკი მათ სჭირდებათ საქართველო და სჭირდებათ იმიტომ, რომ ახალი გეოპოლიტიკის ჭიბამ საქართველო, ტრამპი შეეცდება, რომ ამ ტერიტორიაზე პქონადეს დასაყრდენი. აქედან გამომდინარე, ის პარტნიორ სახელმწიფოსთანაც შეეცდება გონივრული პოლიტიკის დალაგებას. გარდა ამისა, მათი და ჩვენი იდეოლოგია სრულ თანხვედრაშია. ლეგტ პროპაგანდის აკრძალვა, კონსტიტუციური მიმართულება, ოჯახური ფასეულობები, ტრადიციები... არა - ფაშისტური და არა - ომს! - ეს ჩვენი ქვეყნების საერთო ფასეულობები იქნება!

ტრამპმა პირველი პრეზიდენტობის პერიოდში, მოგვიწოდა ქართველებს, რომ დაეალაგოთ ურთიერთობა რუსეთთან. მჯერა, ის ამ პოლიტიკას განაგრძობს, ბაიდენის ადმინისტრაციის მსგავსად არ ჩაგვეტყავს, მოგვცემს საშუალებას, ვიმუშავოთ კონფლიქტურ მხარესთან და დაეალაგოთ პოლიტიკა რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან. ჩვენ გვინდა ისეთი პარტნიორობა, რომელიც დაგვეზარება რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაში და არა დაპირისპირებაში, რადგან ეს არის საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი!



გამარჯვებისთვის, არის ევროპის მხარდაჭერა და ამით ევროკავშირის უსაფრთხოება იქნება დაცული. ამ განცხადებით მათ მოუწოდეს ამერიკას, რომ მაქსიმალურად დაუჭიროს მხარი უკრაინას. მართალია, ევროკავშირი თანხებს აძლევდა უკრაინას და მონახლისეებსაც აგზავნიდა დასახმარებლად, რომლებსაც ფულს უხდიდნენ, მაგრამ ძირითადი თანხა უკრაინაში ამერიკიდან იხარჯებოდა. მილიარდობით დოლარი მიდიოდა ამერიკიდან უკრაინის დასახმარებლად. ევროკავშირს ჰქონდა საკმარისი რესურსი, მაგრამ ისინი ძალიან ხელმომჭირნიები არიან ფინანსებში და მათ მიერ გამოყოფილი თანხებით უკრაინა ომს ვერ მოიგებდა. ანუ, ევროპას სურდა, საკუთარი

და ჩინეთი გაერთიანდებოდა, იყო ძალიან მაღალი.

მაშინ რა მოხდა? - მოტყუვდნენ გათვლებში? მეეჭვება, რომ ასე ყოფილიყო, ეს ისეთი არითმეტიკაა პოლიტიკაში, რომ ამ სიტუაციაში, თუნდაც საქართველოდან გაეხსნათ ფრონტი, რუსეთს მაინც ვერ მოუგებდნენ. ვფიქრობ, რომ ტრამპი არ დატოვებს ამ საქმეს ისე. ის, ალბათ, ბოლომდე არ გამოიტანს ყველაფერს სასეკაროზე, რადგან თავისი ქვეყნის პრესტიჟს მოუფრთხილებდა, მაგრამ რაღაც მინიმუმებს გააკეთებს, რა იყო ეს, - აშშ-ის ხელისუფლების შეცდომა, თუ წინასწარ გამოჩნული ქმედება კონკრეტული სარგებლის მისაღებად?! ხომ არ იყო ეს რაღაც დონეზე გარბობა, ხომ არ იყო ეს ვაჭ-

ვის, ქართველებისთვის და ჩვენი ხელისუფლებისთვის იყო ნერვების წვეკეტის და ძალიან დიდი გამოცდის პერიოდი. თუმცა, ამის მიუხედავად, უდიდესი გამძლეობის, ნებისყოფის, ატანის, შეურაცხყოფისა და ბულინგის ხარჯზე და, რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილის ტენიონ, გამჭირახობითა და სიამაცით, საქართველომ შეძლო ისეთ რელსებზე შემდგარიყო, საიდანაც გადახვევა უკვე შეუძლებელია. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ალბათ, ვერავინ გაგებდავდით ამხელა ყულფში თავის გაყოფას. შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა ბიძინამ ბაიდენის შეცდომები, ბაიდენის მცდარი პოლიტიკა, საუკეთესოდ „გამოიყენა“ საქართველოსთვის. ტრამპი რომ ყოფილიყო პრეზიდენტი, არ



გვესაუბრება ჰუმბოლციუსტი, გადაცემა „პოლიტიკური თერმომეტრის“ ავტორი და წამყვანი ზაურ ნაჭყვიაძე

ბატონო ზაურ, ვფიქრობ, დღეს რომ ხელმეორედ გაიმართოს არჩევნები, ოპოზიციას იმდენ ხმასაც ვერ აიღებს, რაც 26-ში აიღო, რადგან დღითიდღე უფრო და უფრო უცრუები იმდენ თავიანთ ამომრჩევლებს...

ნამდვილად არ მოველოდით, თუ რადიკალური ოპოზიციის საზოგადოების მხრიდან ასეთ მხარდაჭერას მიიღებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ოპოზიციური პარტია, ფაქტობრივად, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. როგორ შეიძლება პარტია უწოდო რაღაც გაერთიანებას, რომელსაც პროგრამაც კი არ გააჩნია. არც ერთ პარტიას, გარდა „ქართული ოცნებისა“, წინასწარ ჩენო პროგრამა არ წარმოუდგენია. რადიკალებს უნდათ მხოლოდ ხელისუფლებით ტკობა, მაგრამ მარტო ტკობა კი არაა საკმარისი მათთვის, უნდათ, რომ სული ამოგვხადონ, როგორც ადრე გვპირდებოდნენ. ამიტომაც გასაკვირია, რომ მათ თუნდაც ამ რაოდენობის ამომრჩევლის მხარდაჭერა მიიღეს. როგორც ჩანს, რადიკალებმა ე.წ. შუაშისტების ხმების მოპოვებაც შეძლეს და მართალია, საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების 35 ათასი ხმა ბევრს არაფერს წყვეტს, მაგრამ ამანაც ოპოზიციის სასარგებლოდ იმუშავა. ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წელია, საქართველოში არ ცხოვრობენ, ფიქრობენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ გაამართლა. აქ უდიდესი როლი აქვს აგრესიულ პროპაგანდას და იმ ფაქტს, რომ საელჩოებში დღემდე „ნაციონალების“ მხარდამჭერი უამრავი ადამიანია, რომლებიც ძალიან აქტიურად მუშაობენ ჩვენი შრომითი მიგრანტების ტვიზის გამორეცხვაზე. თუმცა, არჩევნების ბედი მანც საარჩევნო ყუთთან წყდება, ადამიანის განწყობაზე ბევრია დამოკიდებული, თუ რა თქმა უნდა, მოსყიდული, ან იდეური მხარდამჭერი არ არის. აქედან გამომდინარე, ჩვენ დამშვიდებით არ შეგვიძლია ვთქვათ, პირწმინდად დამარცხდება თუ არა ოპოზიცია, დღეს რომ არჩევნები გაიმართოს, ან მიიღებს თუ არა ისეთივე მხარდაჭერას, როგორც მას 2024 წლის 26 ოქტომბერს ჰქონდა.

რაც შეეხება „ქართული ოცნებას“, მას მეთხედ გამოუცხადანდობა ქართველმა საზოგადოებამ. პარალელურად, გაძლიერდა ზეწოლა დასავლეთიდან, რომელიც ახლა კიდევ უფრო კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცნობილი ორი კანონის უკან გაწვევას და ამ თემით მინიპულირებს...

„ქართული ოცნების“ გამარჯვებას, უპირველესად, ხელი შეუწყო ბოლოდროინდელმა საკანონმდებლო ინიციატივებმა. ფაქტობრივად, კონსერვატიული ფლანგი დაიჭირა მმართველმა გუნდმა. მათ ისეთი საკანონმდებლო გადაწყვეტილებები მიიღეს, რომელიც ერის ინტერესებში შედიოდა. დაახ. ეს იყო, უპირველესად, ლგბტ პროპაგანდის შესახებ აკრძალვის შესახებ კანონი და ე.წ. გამჭვირვალობის კანონი, რომელსაც ძალიან დიდი აუიოტაჟი მოყვა. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ ეს უკანასკნელი არ არის ისეთი მკაცრი, რომელმაც შეიძლება ბოლომდე დაარეგულიროს პრო-

„ლიბერალური“ სამყაროსთვის სამწუხაროდ, რამდენჯერმე სიკვდილს გადარჩენილმა დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა. მისი გამარჯვება მიმდებარე „გადაიტანეს“ ქართველმა რადიკალებმაც, თუმცა, იმედი გამოთქვეს, რომ როგორც სალომე ზურაბიშვილი, შესაძლოა, ტრამპიც ოდესმე მათი ინტერესების დამცველი გახდეს...
- მგონია, ყველაფერი, რაც ხდება და რაც მოხდა, აშშ-ის არჩევნებთან მიმართებაში, გლობალური თამაშის ნაწილია. ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ არსებობს ერთმანეთთან დაპირისპირებული გლობალისტური ორგანიზაციები, თუმცა, არავითარი ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს. ეს დაპირისპირებული მხარეები, კონსერვატორები და რესპუბლიკელები, არის ერთი ორგანიზაციის ორი

„მშვიდობის მტრედ“ ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს მოგვევლინა, როცა მან განაცხადა, რომ, სიმბოლურად, რუსეთ-უკრაინის ომს 24 საათში დაასრულებს. გარდა ამისა, ის თავისი რიტორიკით, ტრადიციული ღირებულებების ერთგულია და მსგავსი დეფინიცია - მშობელი ნომერი ერთი და მშობელი ნომერი ორი ამერიკაში არ იარსებებს. ამან, გარკვეულწილად, შექმნა ილუზია, რომ ტრამპი არის ტრადიციონალისტი, კონსერვატორი და სამყაროს გადარჩენაზე ფიქრობს. ღმერთმა ქნას, ასეც იყოს, მაგრამ გადაჭარბებული მოლოდინები არ გამოგვაღებება.

ფაქტია, რომ ტრამპის გაბრუნდნამდე ცივი წყალი გადაასხა ქართულ ოპოზიციას, გლოვის რეჟიმში იყვნენ, თუმცა რადგან

ყანა რომ არ უნდა გადავაყოლოთ, ამაზეც უნდა შევთანხმდეთ. რას ნიშნავს დედაქალაქის ცენტრალური ქუჩების და მთელი საქართველოს პარალიზებისკენ მოწოდება?! - ეს ხომ სახელმწიფო ინსტიტუტების და, შესაბამისად, სახელმწიფოს ჩამოშლისკენ მიმართული მოწოდებაა? ასეთ დროს, ქვეყნის მოლატეებთან აიწონა - დაიწონას თამაში ძალიან სახიფათოა! ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და დროზე აღკვეთოს ეს მარაზმი! საქართველო გროშებზე დაგვიმოდ მოლატეტეთა და ყალბი პროპაგანდით გაბრუნებულთა სათარეშო არ არის! პროტესტის მშვიდობიანი ფორმით გამოხატვა, კი ბატონო, - იღრიალონ სანამ არ დაიღვლებიან მაგრამ სახელმწიფოს ჩამოშლის უფლება არავის უნდა მიეცეთ! ეს არა

ხელისუფლებაც, დემოკრატიასაც თამაშს ქვეყანას ნუ გადააყოლებთ!

ცესები, რაც უკავშირდება არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას და მათ გამოყენებას ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. მე ვიტყვი, რომ კანონი კიდევ უფრო გასამკაცრებელია და ამ დროს, ვეროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ითხოვენ მის გაუქმებას, როცა ამაზე ორჯერ უარესი სიმძიმის იგივე კანონი არსებობს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში, გნებავთ, - ამერიკაში.

თავისი ნაბიჯებით, ხელისუფლებამ გააკეთა პრინციპული განაცხადი, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის და ტრადიციული ღირებულებების დაცვის გზას დაადგა. სწორედ ამან შეასრულა გადამწყვეტი როლი „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვებაში. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება თუ ამ კურსს გადაუხვევს და სხვა გზას აირჩევს, ეს რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთვის იქნება უპირველესად, ძალიან საზიანო. ასევე დაზიანებს „ქართული ოცნებასაც“. აქ კანონების მიღება-არმიღებაც კი არ არის საუბარი, საუბარია ქვეყნის სუვერენიტეტზე, ჩვენი თვითმყოფადობის, იდენტობის და ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებაზე... 2030 წლამდე, როდესაც ჩვენ გვპირდებიან გაწვევრიანებას, შეიძლება ევროკავშირი აღარც არსებობდეს, ყოველ შემთხვევაში, - ისეთი ფორმით, როგორც დღეს არის წარმოდგენილი.

მე თუ მკითხავთ, როცა 9-პუნქტიან დათქმას და 12-პუნქტიან დაჯილდებას გავეცანით, არ ვიცი რამდენად შესაძლებელი იყო, მაგრამ მაშინვე უნდა გვეთქვა უარი. „ღირსებით ევროპისკენ“ ნიშნავს, უპირველესად, ჩვენი ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებას, ჩვენი სუვერენიტეტის შენარჩუნებას, ევროკავშირის „დაჯილდება“ კი ამის საშუალებას არ იძლევა. ისინი გვეუბნებიან, რომ თუ მათთან გვინდა, მათი კანონებით უნდა ვიცხოვროთ. გვაწყობს კი ჩვენ ეს? - საკითხავი აი ეს არის!
- ასევე, უმნიშვნელოვანესი არჩევნები ჩატარდა ამერიკაში და



ნაწილი, საიდანაც ხან ერთი იმარჯვებს, ხან მეორე! ყველაფერს თუ გავეანალიზებთ, ვფიქრობ, არჩევნების შედეგი, ანუ ტრამპის გამარჯვება თავიდანვე იყო გადაწყვეტილი. ასე მგონია, რომ თავდასხმები და აგრესიული მიდგომებიც ტრამპის მიმართ, მხოლოდ გლობალური თამაშის ნაწილია.

სხვათაშორის, ჩემს სააგტორო გადაცემაში ახალგაზრდა ანალიტიკოსმა მარიამ მაისურაძემ ძალიან კარგად განმარტა ყველაფერი. მან თქვა, რომ ბაიდენის საპრეზიდენტო მმართველობამ არ გაამართლა, თუმცა, იქვე გაუსვა ხაზი, რომ ბაიდენი შემოყვანილი იყო იმისათვის, ბევრი რამ „გაეტესტათ“. შედეგად, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა ამერიკის როგორც საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ის არამხოლოდ მსოფლიო ჰეგემონის როლს დაკარგავდა, არამედ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა საკუთარ მოსახლეობასაც.

თუ ბაიდენის საპრეზიდენტო მმართველობა ასოცირდება განუწყვეტელი ომებთან და შიდა პოლიტიკის რღვევასთან, ახლა მოიყვანეს პიროვნება, რომელზეც შექმნეს ილუზია, რომ ის მყისიერად დაასრულებს ომებს. ტრამპი

სხვა გამოსავალი არა აქვთ, ახლა უნდა თქვან, რომ ეს ფაქტი გაუხარდათ. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, მან უკვე გააფუჭა ყველაფერი, რისი გაფუჭებაც შეეძლო და არა მგონია, კიდევ რაიმე სერიოზული ჩაიდინოს, გარდა იმისა, რომ მისგან კვლავინდებურად ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელ მესიჯებს უნდა ველოდოთ! სალომე ზურაბიშვილის დონის მოლატე საქართველოს კარგა ხანია, არ ჰყოლია. თუმცა, თუ ქვეყანას ღირსება შერჩენია, ეს ქალი უხსტად ისეთი იარაღით უნდა გაუშვან, რასაც იმსახურებს - ეს, უბრალოდ, ერის ღირსების საქმეა!

- ბატონო ზაურ, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი რადიკალების გვერდით, რუსთაველზე, საპროტესტო აქციებზე ევროპელ პარლამენტარებსაც ვხვდებით, რომლებიც, ფაქტობრივად, „მშვიდობიანი“ რევოლუციისკენ მოწოდებენ ოპოზიციას. რა პასუხი უნდა გაცეს სახელმწიფომ ამ ადამიანებს?

- თავს მოხვეული დასავლური დემოკრატია უპასუხისმგებლობისა და დაუსჯელობის მაქსიმუმს რომ გულისხმობს თურმე, ამაში კარგად ხანია დავერწმუნდით, მაგრამ დემოკრატიას თამაშს ქვე-

მხოლოდ ხელისუფლებას ეხება. თუმცა, უპირველესად, ხელისუფლებამ ვალდებულია უნდა ვაიმულოთ კიდევ, დროულად აღკვეთოს მოსალოდნელი გართულებები!

გნებავთ, რა მდგომარეობაშიც ჩააგდეს ქვეყანა დესტრუქციულმა ძალებმა და ამიტომ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ ახალი პოლიტიკური ძალების ფორმირებაზე. უპირველესად, ხელისუფლებამ უნდა იფიქროს ამაზე, რადგან ცაში ვერ გამოეკიდება „ქართული ოცნება“. ჩვენი პრობლემა იმაშია, რომ არ არსებობს ძალა, ვინც ამ ოპოზიციას მოუსაველეთში გაისტუმრებს და მომავალში მმართველ გუნდს ჩაანაცვლებს. მე მგონია, რომ ამაზე სერიოზულად ფიქრობს ბატონი ბიძინა ივანიშვილი და ალბათ ჩვენ ძალიან გაეხდებით მოწმე, რომ ახალი პოლიტიკური ძალების ფორმირება დაიწყება. აუცილებლად უნდა არსებობდეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელიც ქართული ფულით დაფინანსდება. მომავალში ეს უნდა გახდეს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი, რასაც დღემდე ვერა და ვერ ვეღირსეთ.

ნონა ქარქაძე

საქართველო გზაჯვარედინია და ამ გზაჯვარედინზე უნდა იყოს შინაგარეული პოლიტიკის და სამართლის ობსერვერის დამფუძნებელი ბრიტონელ ბაგნიძე



გვესაუბრება უფლებადამცველი, არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერის“ დამფუძნებელი ბრიტონელ ბაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს თქვენი ორგანიზაციიდან არაერთი დამკვირვებელი აკვირდებოდა. როგორ ჩაიარა საარჩევნო პროცესმა?

— 26 ოქტომბრის არჩევნებმა სამართლიან, თავისუფალ გარემოში ჩაიარა. მოგეხსენებათ, ოპოზიციაც და პრეზიდენტიც თავად აცხადებდნენ, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების გაყალბება შეუძლებელი იქნებოდა. ხმის მიცემის ეს მეთოდი უცხოეთში, ამერიკულ კომპანიებში აპრობირებული და დატესტილი. ცეკოს თავმჯდომარეც აღნიშნა, რომ ამ წესით ჩატარებულ არჩევნებში უკანონო ჩარევები გამორიცხული იყო. 26 ოქტომბრის სადამოწო ოპოზიციამ თავისი მხარდამჭერი ტელევიზიების დაკვეთით შესრულებული ეგზიტპოლების შედეგები წარმოადგინა, რაც რეალობისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. დღემდე გააყვირიან, არჩევნები გაყალბდა და სასამართლოში დავეხსნა აწარმოებენ. რა მიზეზი აღარ მოიხილა — ხელისუფლებამ 300 ათასი ხმა გააყალბა, ფარულად დაირღვაო და ა.შ. მათ ფანტაზიას საზღვარი არ აქვს, რითაც არჩევნების დისკრედიტაციას ცდილობენ. როცა ქალაქებში ფლომასტერის გაფონვას აპროტესტებენ, ნუ დაგვაიწყდება, რომ არჩევნებისთვის საჭირო ყველა ინვენტარი უცხოურმა კომპანიებმა მოგვასწოდეს და ხარისხზე პასუხი სწორედ მათ უნდა მოსთხოვონ. გავისხნოთ ისიც, რომ ელექტრონული წესით სატესტო რეჟიმში ბოლო წლებში სხვადასხვა რაიონებში შუალედური არჩევნები ჩატარდა. მაშინ მსგავსი პრეტენზიები არც ოპოზიციას გამოუთქვამს და არც ნჯო-ებს. გამოდის, ეს ნიუანსი მაშინაც იცოდნენ და ამაზე თვალი შეგნებულად დახუჭეს?! ასეთ შემთხვევაში, ნჯო-ებისა და ოპოზიციის მხრიდან საქმე პოლიტიკურ თადლითობასთან გვაქვს. აი, ეს რეალობაა.

როგორც იცით, სააპელაციო სასამართლომ ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით სარჩელი არ დააკამოფილა და მოსამართლე ხუჭუას გადაწყვეტილება ბათილად ცნო. არჩევნებს ჩემი ორგანიზაციებიდან დამკვირვებ-

ლები აკვირდებოდნენ და რამდენადაც ვიცი, საარჩევნო უბნებზე ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრები არც ნჯო-ების, არც ოპოზიციის წარმომადგენლების და არც უცხოელი დამკვირვებლების მხრიდან არ დაწერილა. ისინი არჩევნებს მასიურად აკვირდებოდნენ და არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ამიტომაც სასამართლომ მომჩივანების მოთხოვნა არ გაიზიარა. მათ სურდათ, იმისთვის მიეღწიათ, რომ ყველა ელექტრონული წესის შედეგად მიღებული ბიულეტენი გაბათილებულიყო. დიახ, სააპელაციო სასამართლო ხუჭუას განჩინებას ძალაში თუ დატოვებდა, მერე ყველა ბიულეტენის გაბათილებას მოითხოვდნენ. ეს პოლიტიკური ავანტიურაა, რითაც ოპოზიციამ არჩევნების ბათილად ცნობას და ახალი არჩევნების დანიშნავს



გვემავდა. ახალი არჩევნების ჩატარება კოლოსალურ თანხებთან არის დაკავშირებული.

— თქვენი დამკვირვებლები ოპოზიციური ტელეარხების მიერ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოექცნენ...

— ჩემს დამკვირვებლებზე ოპოზიციის მხრიდან თავდასხმები 2020 წელსაც განხორციელდა. ამჯერად ჩემი ორგანიზაციების დამკვირვებლებზე ბულინგი, ფსიქოლოგიური ტერორი ოპოზიციურმა მედიასაშუალებებმა განახორციელეს. მეც თავს დამეხსნენ და ჩემგან ინტერვიუს აღებას ძალადობრივად ცდილობდნენ. ეს ტელევიზიების მხრიდან არასწორი ქმედებაა. ჩემი ორგანიზაციიდან არჩევნებზე წარდგენილი დამკვირვებლების დიდი ნაწილი ის ადამიანები იყვნენ, ვინც ნაცების 9-წლიანი რეჟიმში, რეპრესიების საკუთარ თავზე იწვნია. მათ ქვეყნის მშვიდობიანი, სტაბილური განვითარება სურთ. რა ქმედებებსაც დამკვირვებლების მიმართ ოპოზიციური ტელევიზიების შურნალისტები ახორციელებდნენ, ეს არც შურნალისტის ქართლში ჯდება და, ზოგადად, არაპუმანური საქციელია. მედიასაშუალებებს ცოტა მეტი ეთიკის დაცვა არ აწევნდათ. დამკვირვებლების მიმართ მათ მიერ განხორციელებული ბულინგი ძალიან დამამცირებელი იყო. ერთ-ერთ შურნალისტს წამოსცდა, ან კადრში გაეპარა, როცა მოქალაქეს მიმართავს, ხელით შემეხე, დამარტყიო. აი, ეს არის

მათი რეალური სახე. აქვე ერთსაც ვიტყვი: როცა დამკვირვებელი უბანზე დგას და პროცესებს აკვირდება, ის მტკიცებულებებს ვერანაირად ვერ გააყალბებს. გაყალბება იურიდიული დოკუმენტებით დასტურდება და არა პოლიტიკურად აფიტირებული განცხადებით. ეს მარაზშია. ჩემი ორგანიზაციების დამკვირვებლებს დოკუმენტთან საერთო არაფერი ჰქონიათ.

რაც შეეხება ოპოზიციის ბაქიბუქს, ჩემი აზრით, ახალი წლის მერე დასრულდება და პარლამენტში შევლენ. ასე მოხდა 2020 წლის არჩევნების შემდეგაც — ჯერ იძახდნენ, პარლამენტში არ შევალთო, სრულ დაუმორჩილებლობას აცხადებდნენ და მერე იქ უკანმოუხედავად შევიდნენ. აქციები მაშინაც გამართეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. გახსოვთ, მედია ყველას რომ დასცინოდა, ვინც პარლამენტში შევა, პუფი იქნებაო. ხალხს არ დავიწყებია 9-წლიანი რეჟიმი და ის სისასტიკე, რაც ამ რეჟიმმა მოიტანა. ხოდა, რატომ უკვირთ, რომ საზოგადოებას ნაცები აღარ უნდა. მე ის უფრო მაინტერესებს, რატომ არის გასაკვირი ძალადობრივ რეჟიმზე უარის თქმა და მშვიდობის არჩევა?! ამ შედეგით ხალხმა ოპოზიციას დაანახა, რაც სურს, ესენი მინც გაიძახიან, არჩევნები გაყალბდაო. 2012 წლის მერე მეხუთე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და ხელისუფლება ხალხის ნდობას ამ დრომდე ინარჩუნებს. ეს ოპოზიციის სისუსტეზე და ხალხის ერთიანობაზე მიუთითებს, რომელსაც საქართველოს ომში ჩაბმა და 90-იან წლებში დაბრუნება არ სურს.

— ფაქტია, ამომრჩეველმა არჩევანი გააკეთა, თუმცა ოპოზიციამ გვეუბნება, ქართველმა ხალხმა ოპოზიციასთან ერთად გაიმარჯვია. ვის გულისხმობენ?

— ხალხის დაყოფა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად შევარდნადის პერიოდის მოყოლებული ხდება. ოპოზიციისთვის და ევროპისთვის ხალხი ნჯო-ები და მათი მხარდამჭერი სექტაა. ქართველ ხალხს თავისი ტრადიციული ღირებულებებითა და ფასეულობებით, ისინი არ ცნობენ. პოლიტიკა 30 წელზე მეტია, პოლარიზებულია. სააკაშვილი რევოლუციით მოვიდა და კი ვნახეთ, ქვეყანას რაც დამართა. ეს უცხოეთშიც მშვენივრად იცოდნენ, თუმცა 2012 წელს „ნაციონალიზმის“ გადასარ-

ჩენად დასავლეთმა მასთან კოაბიტაცია მოგვთხოვა. სააკაშვილი და მისი გუნდი დღესაც ამერიკული და ევროპული გრანტებით იკვებებიან, რაც ხელისუფლების მორყევის მცდელობას ხმარდება. დემოკრატიის ერთ-ერთი ფასეულობა ის არის, რომ პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნება უნდა იყოს, მაგრამ პოლარიზება, რომელიც რადიკალიზმში გადადის, დამღუპველია. სწორედ პოლარიზებულმა გარემომ წარმოშვა უკრაინაში მაიდანიაციის პროცესი და დღეს ყველა ვხედავთ, რა დღეა ეს სახელმწიფო. საქართველოშიც იყო გარედან მცდელობები, შეძახილები, თუ ხელისუფლება არჩევნების გზით არ შეიცვლება, ძალადობრივი მეთოდებით გადაადგეთო. ჩემი აზრით, ახლა ოპოზიციის დამკვეთებს საქართველოში მიმდინარე პროცესებისთვის არ სცა-

გააგზავნიან და იტყვიან, ქვეყანაში სამართლიანი მართლმსაჯულება არ არსებობსო. ვნახოთ, სტრასბურგის სასამართლო რა ჩანაწერს გააკეთებს. ერთი ფაქტია, ის საქართველოში სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ვერანაირად ვერ გააბათილებს. უბრალოდ, თუ უფლებების დარღვევა დადგინდა, საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს მისცემს. ვიმეორებ, სტრასბურგი საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებას ვერ გააბათილებს, მას, უბრალოდ, სარეკომენდაციო სახე აქვს.

— თქვენ ახსენეთ, უცხოელ დამკვირვებლებს, ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით საჩივარი არ დაუწერიათო, მაგრამ შოლცმა, მაკრონმა და ტუსკმა ბუდაპეშტის სამიტზე საქართველოში ამომრჩეველის მოსყიდვაზე ისაუბრეს...

— თუ დასავლეთს საქართველოში მშვიდობა და სტაბილურობა სურს, მაშინ აქ მაიდანიაციის პროვოცირებას ხელი არ უნდა შეუწყოს. ჩემი აზრით, სტაბილური საქართველო რეგიონის ინტერესშიც შედის. ამიტომ, აქ სტაბილურობის, მშვიდობის შენარჩუნება მხოლოდ ჩვენი გადასაწყვეტი არ არის. ევროპამ ჩვენს მეზობლებსაც უნდა პკითხოს, როგორი საქართველო სურთ მათ და რამდენად სამართლიან გარემოში ჩატარდა არჩევნები. ხელისუფლებას გამარჯვება მიულოცეს მეზობლებმა — ერდოლანმა, ალიევმა, ასევე, ორბანმა, რომელსაც ევროკავშირში სიტყვა ეთქმის. დასავლეთის კონსერვატიული ძალები ხედავენ, რომ საქართველოს საკუთარი ტრადიციების, ეროვნულობის შენარჩუნება უნდა. პატარა ერი ვართ და ჩვენი გადარჩენა, მამულს, ენასა და სარწმუნოებაშია. მშვიდობას, სტაბილურობას, განვითარებას ალტერნატივა არ აქვს. ევროპის მხრიდან გამოძახილებს კი ქვეყანა არასწორი პროცესებისკენ მიჰყავს, რასაც ქართველი ხალხი არ დაუშვებს. დაძაბულობის, მაიდანიაციის პროვოცირების შემთხვევაში, დიდი რისკი არსებობს, რომ დასავლეთმა საქართველოში თავისი გავლენების დაკარგვის დაჩქარებას ხელი თავადვე შეუწყოს. დიახ, აქ დესტაბილიზაციის შექმნა ევროპას გავლენებს დააკარგვინებს. ისტორიულადაც ასეა, როდესაც ცდილობ, ქვეყანა გაჭყლიტო, ამ პროცესს ჩრდილოელი, თუ სამხრეთელი მეზობელიც აკვირდება და შეიძლება ამით ისარგებლოს. ასე რომ, დასავლეთს საქართველოს კუთხეში მიყენება, წესით, არ უნდა აწყობდეს. საქართველო ერთგვარი გზაჯვარედინია და ყველას ინტერესშია, იქნება ეს დასავლეთი, ამერიკა, ჩინეთი თუ სხვა ქვეყანა, რომ ის სტაბილური განვითარების ეკონომიკურ ზონად იქცეს. ამიტომ აქ ომი არ უნდა დაიწყო. ეკონომიკური ზონით უნდა ისარგებლოს როგორც ევროპამ, ისე სხვა ქვეყნებმა.

ვიცი, საკმარისია, ათი წიგნი წაიკითხო რომ აზრზე მოხვიდე, მაგრამ ის ათი რომ იპოვო, ათასი წიგნი უნდა წაიკითხო, პოლა, ჯერ მხოლოდ 41 მაქვს წაკითხული, მაცადეთ კითხვა!

განა დრო არ მაქვს, ან მოუცლელად ვარ, მაგრამ ისეთებს ვკითხულობ, წიგნებისთვის ვედარ ვიცლი. აბა, გვერდი როგორ აუარო ამ „ისტორიულ ფაქტს“, ყველა წიგნზე დიდ წიგნს: „დონალდმა მითხრა: რას ფიქრობ, მიშა, პრეზიდენტად ხელახლა რომ ვიყარო კენჭით? ვუპასუხე: ხომ იცი, ამის შესახებ ჩემი აზრი — ადრეც ბევრჯერ გვისაუბრია, — რა თქმა უნდა, მიმანია, რომ ძალიან მაგარი შანსები გაქვს-თქო. ცოტა იხტიბარგატეხილმა მიპასუხა: რა ვიცი, ჩემს გარშემო არავის სჯერა რომ შანსები მაქვს. გაუამხნევე, არ დაუჯერო-მეთქი და მერე მაიკლს გადაულაპარაკა: ხომ ხედავ, ხომ გეუბნებოდი, მიშა ამბობს, რომ შანსები მაქვსო“.

2013 წელს მიშამ საშას რა უთხრა და საშამ — კოლას, რა გამახსენებდა, ვიფიქრე, დავიძინებ და გაღვიძებულზე მოხვდები, სიზმარ-ცხადი როგორ გაფარჩიო-მეთქი, მაგრამ უარესი აბურღულობა დამხვდა. ეს ტიპი, საქართველოს ექსპრეზიდენტი არსით შედევრია, მენდელეევის აღმოჩენა და „ვინიტუ სინ ინჩურუნას“ კიდევ უფრო ვაჟი, მაგრამ აქ რა ხდება, საყველიეში?



უსუნაური კვირა

უსუნაური კვირა მქონდა – გაბმით მესიზმრებოდნენ ოლიგარქები და პრეზიდენტები. მაგათგან მე ხეირი არ მინახავს და სიზმარში მაინც მომწყდნენ თავიდან!



Info 9

თამა თუთბერიძე

თქვენ ადგილებზე უკეთესად იხით როგორ დაორბანიხდეთ და დაიხსოვთ დაუმორჩილებლობის ტაღლა. როგორ მოახდინოთ ადინისტრაციული შენობების ბლოკირება, დაკავება და ა.შ.

ჩემს სივრცეში „თეთრი ხალა-თი“ იყო ცნობილი, ვინმეზე რომ იტყოდნენ, უნდა ჩააცვაო, დიაგნოზი დასმული იყო, ახლა — დიაგნოზი არის, თეთრი ხალათი არ არის, — დეფიცითა?

თქვენც ჩემსავით უყურებთ ტელეარხებს და ჩემსავით ადვენტთ თვალს, რა ხდება მსოფლიოში, მე ახალს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ სათავგადასავლო კომედია „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“ კი მაკონდება.

ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის და არც ძებნით გავისარჯე, მაგრამ არსებული ვიდაც ვეი დი ვანსი, რომელსაც უთქვამს: ჩვენ ავადებთ დაშინების, ჭკუის დარღვევის და ლექციების წაკითხვის საგარეო პოლიტიკა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც არაფერი სჭირთ სა-ამისო.



ზვიად გვახარია

ჩვენ ავადებთ დაშინების, ჭკუის დარღვევის და ლექციების წაკითხვის საგარეო პოლიტიკა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც არაფერი სჭირთ საამისო

კეთილი და პატიოსანი! ველი გაგრძელებას ყველა იმ „დაუძინებელი მეგობრისგან“, ახლა რომ ჩაეძინებთ, თუცა, ხმის ამოდებას ადამიანური ძალა უნდა, თოჯინები კი უსულო უძღურები არიან, მხოლოდ მაშინ მოძრაობენ, როცა ძაფს ჩამოქაჩავენ... ისეთი გასუსულები არიან, ჩქამი არ ისმის!

სიმათლევ რომ ვთქვა, არც ეს კაცი მხიბლავს — დონალდი, წარმოდგენა რომ არ აქვს, რა არის მსოფლიო, მაგრამ მშვიდობისკენ რომ ისწრაფვის, ესეც ხეირია.

მინდა, წარმოვიდგინო მსოფლიო ომის გარეშე, მაგრამ ისე შემაჩვიეს შარს, ფანტანია დამეთრგუნა. თუ ომები აღარ უნდა იყოს, აბა, ამერიკა როგორ გადაიდგება? — გავიჭედეთ!

ოთხი წელი არ უნდა სასურ-

ველი ბავშვის შექმნას და დაბადებას, როდესაც სახეზეა ნაყოფიერი დედ-მამა, ვეგბ, მოვასწროთ? — მე ჩემს საქართველოს ვნაღვლობ...

ის ვიდაც ვეი დი ვანსი ჩემთვის არის „ვიდაც“, თორემ, როგორც ჩანს, სიტყვა ვთქმის, — ჩვენ რაღას ვშვრებით?

აღარც ილია ჭავჭავაძე მჭირდება პერიფრაზად და აღარც ალექსანდრე ყაზბეგი და არც სხვა ჩვენი ჭკვიანი წინაპრები. სად ვართ ჩვენ ამ შეშლილ მსოფლიოში? ქართულმა გენმა რომ იცის შეშლა და გადაშლა, ისეთი უნდა და, რას ვაპირებთ?

მოხიბლული ვუსმენდი, რომ საქართველო არ აპირებს იმ უარგუმენტო და ყურით მოთრეული პრეტენზიების განხილვას, რასაც ლგბტ და გამჭვირვალობის კანონი დაარქვეს. დიდი მოკრძალებით (ვითომ!) ვიკითხავდი: მაკრონი და შოლცი ვინ არიან, რომ მე მიწვეულდნენ სხვადასხვა საკითხებს ჩემს საქართველოში, როცა ადგილზე წყალი ამოსდით?

საქართველო დაბადებიდებიდან ყოველთვის იყო, საიდან და რატომ გავვიყალბეს ისტორია, ეს სხვა საკითხია და ცალკე ვთქვათ — ახლა მაინც რას გვერჩიან? პასუხი ცალსახაა — საქართველო ის ციტადელია მსოფლიოში, სადაც მსოფლიო მატარებელი ვერ ჩაივლის! ასაღებია, მაგრამ ამღები არ არის! რანაირად მისვამ ტოლობის ნიშანს, შე „დიდო ციფლიზაციავ“, ელემენტარულ საკითხზე, როცა მე შენზე დიდი ვარ?

მე ყველა კანონი მქონდა, ყველაფერს ვიცავდი, მაგრამ შემოვარდი და სრულიად ჩემი მართლმსაჯულება მითთვისე!

აბა, გადახედონ მსოფლიოს,

ვის ჰქონდა დარბაზი და მერე მე-ლაპარაკონ!

მე ქართველი ვარ და არ დავიღვლები!

ასეთი უმგავრო შემოფარდნა მეფის რუსეთისგანაც კი არ მინახავს და გამიგია — არა — კაცი! არა — ქალი! არცა — ადამიანი და მოქალაქე! რა სიკვდილია ეს!

კი, ასეა!..

იმ ქალს შესახებ, რომელიც საჯაროდ იტყვის, რომ ეს კანონი გასაუქმებელია, მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია — ეს ქალია გასაუქმებელი! ის არც დედად იყარგებს, არც დად არაფრად საერთოდ — საქართველო დედაზე დგას! — რანაირად გვაგებინო, როცა შენი დედა არ გყავს — ვერანაირ დედას ვერ დაიფიცებ!

მე, ერთმა მოქალაქემ რა უნდა ვქნა მსოფლიო მასშტაბით, თვავში ნემსი ვარ, მაგრამ ერთი ქართველი ხომ ვარ — გამახარეთ ამ ჩემს სამშობლოში!

„ქართული ოცნება“ — განყენებულად ხართ! აასრულეთ ყველა დაპირება!

გაათრიეთ „ბოლონიის კანონი“, გაათრიეთ „მსოფლიო ჯანდაცვა“, გაათრიეთ „გენდერული კანონი“ — გაათრიეთ ყველა არაქართული უმსგავსობა! რაც არაქართულია — გაათრიეთ!

იმ შეშლილ მსოფლიოს რას დადევ, მეც შეშლილი ვარ ჯერ კიდევ, მაგრამ დედაშვილური რჩევა! საქართველოს ახლო ახლებო, მეგონი, თქვენც დაიბენით...

შეფუცხუნება გინდათ და ავერ ვარ!

ისე არ გამოვიდეს, რომ მე თქვენკენ ვიყო და თქვენ — მგლებიკენ!..

მაკა ჯაყელი

ტრამპის გაპრეზიდენტება ლიბერალიზმის ეპოქას დაასრულებს?!



გვესაუბრება ისტორიკოსი, ანალიტიკოსი სონი მანჯაპიძე

— ბატონო სონო, ამერიკის არჩევნები 45-ე პრეზიდენტის გამარჯვებით დამთავრდა. როგორ იქნება ტრამპის ამერიკის „ოქროს ხანა“?

— ტრამპის არჩევით განხდა შანსი, ის დამლუპველი პროცესი, რასაც თვალს ვადევნებდით, შეჩერდეს. ბაიდენის ადმინისტრაცია მსოფლიოს კატასტროფულ შედეგებამდე მიყვანას უქადდა, რომელიც გარკვეული ელიტების ინტერესებს გამოხატავს. ტრამპის მოსვლით კაცობრიობას შანსი ეძლევა, დრო მოიგოს, რათა ატომური ესკალაცია, თერმობირთვული ომი თავიდან აიცილოს და მსოფლიოში ომის ახალ-ახალი კერები აღარ გაჩნდეს. თუმცა გამორიცხული არც ის არის, რომ საპირისპირო სცენარი განვითარდეს. რაც შეეხება არჩევნების შემდგომ პერიოდს, პროცესები მშვიდად ვითარდება. ბაიდენმა ამერიკელებს „ტემპერატურის“ დაგდებისკენ მოუწოდა. იგი ტრამპსაც შეხვდა. მათ მოლაპარაკეს, რომ ერთად ისაძლიერებენ, რა დროსაც ხელისუფლების გადაბარების საკითხებზე იმსჯელებენ. ეს დადებითი მოვლენაა. თუმცა, აქვე ნურც ის დაგვაინტერესებს, თანამედროვე პოლიტიკა ფარსზეა აგებული. კერძოდ, არჩევნებამდე დემოკრატები ტრამპს ურჩხულს, დემოკრატების მომხრეებს, ფაშისტს, სექსისტს, კრიმინალს და რას აღარ უწოდებდნენ. ახლა კი სულ სხვა რიტორიკას ვისმენთ. როგორც ჩანს, ამერიკულ ელიტებში გარკვეული შეთანხმება შედგა. თუმცა გამორიცხული არც მოვლენების სხვა მიმართულებით განვითარებაა — აშშ-ს საკმაოდ დიდი სახელმწიფო ვალი აქვს. ვის ხელშიც არის ფინანსები და ძალა, იმ ჯგუ-

ფების გავლენები უზარმაზარია და მათ ინტერესებზე შეხებამ, შეიძლება დამანგრეველი პროცესები გამოიწვიოს. შეგახსენებთ, რომ რობერტ კენედი უმცროსმა ამერიკის ჯანდაცვის სფეროში რეფორმები უნდა ჩაატაროს. მისი პოზიცია კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით, ყველასთვის ცნობილია. კენედიმ, რასაც ამ საკითხზე გვემავს, იმის მეთაურად განხორციელება რეალურად რომ დაიწყო, მის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ფონს ვერ დავუდებდი.

გარდა ამისა, ტრამპი გეოპოლიტიკური მიმართულებით დემოკრატების პოლიტიკის კარდინალურად შეცვლას აპირებს. მაგალითად, მისი პოზიცია უკრაინის კონფლიქტთან მიმართებით, რადიკალურად განსხვავდება. ტრამპს მიაჩნია, რომ უკრაინა, როგორც პროექტი, ჩავარდა და ის ამ ომს წერტილს დაუსვამს. ზოგი მიიჩნევს, რომ ტრამპი პუტინის მეგობარია და პრორუსული სენტიმენტები ამომრავებს, რაც აბსოლუტური სიგიჟეა. პირიქით, ტრამპი რუსეთთან მიმართებით გაცილებით მკაცრი პოლიტიკის მომხრე იყო. მან პირველმა მიაწოდა უკრაინას ლეტალური იარაღი. მეტიც, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაც სწორედ მან დაიწყო. ის და მისი ადმინისტრაცია ამერიკული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებენ. მათ კარგად ესმით, რომ სტრატეგიამ, რომელიც ნატო-ს გაფართოებას და, შესაბამისად, რუსეთის დასუსტებლად უკრაინის გამოყენებას გულისხმობდა, შედეგი არ გამოიღო. პირიქითაც კი იმოქმედა. არსებობდა რაციონალური მოსაზრებები, რომ რუსეთი ძალიან დასუსტებულია, იქ სუფევს კორუფცია, გაყდენითელია აგენტურით და ა. შ. შესაბამისად, უკრაინის ქეისი რა იყო, რომ რუსეთი წამოეკიდებინათ და ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ჩამოეშალათ. შემდეგ ელცინის დროინდელი მდგომარეობისთვის მიეღწიათ — ეს გახლავთ რუსული რესურსების გამოყენება, მასზე ბატონობა და აქვე შემოდიოდა ჩინეთის თემაც.

დღეს აშშ-ის სტრატეგიული სამიზნე, ჩინეთია. როგორც ამერიკის სტრატეგიაშია გაწერილი — რუსეთი არის სიტუაციური მოწინააღმდეგე, ჩინეთი — სტრატეგიული. ამან რუსეთის, ჩინეთის, ირანისა და ჩრდილო-

კორეის შეკავშირება გამოიწვია, მათ შორის, საერთო პოლიტიკის წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობებიც ბევრია. მაგრამ როგორც სოფლის ძაღლები მგლის წინააღმდეგ, ეს ქვეყნებიც ისე გაერთიანდნენ. შედეგად, დასავლეთისთვის სრულიად მოულოდნელად, რუსეთში რეინდუსტრიალიზაცია დაიწყო და ის მსოფლიოს მეოთხე ეკონომიკა გახდა. თუ გაეთვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთის ეკონომიკის დიდი ნაწილი ჩრდილოვანია, ეს ციფრი კიდევ უფრო შთაბეჭდავი ხდება.

ტრამპის ადმინისტრაცია, წმინდა პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, შეეცდება, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი შეაჩეროს. ასევე, ამერიკული ფულის და შეიარაღების მიწოდებაც, რაც კორუფციის ბუდე იყო — თანხის დიდი



ნაწილი, რაც უკრაინაში იგზავნებოდა, უკან, ამერიკელი ჩინოვიტების ჯიბეებში იღებებოდა. ტრამპი შეეცდება, შური იძიოს, რადგან მან კარგად იცის, რა სქემით იგზავნებოდა უკრაინაში ფული და როგორ ბრუნდებოდა უკან, „დემოკრატიული პარტიის“ საარჩევნო კამპანიისთვის გამოსაყენებლად. მაქვს მოლოდინი, რომ ტრამპი ზელენსკის ულტიმატუმს წაუყენებს, რათა ის ცეცხლის შეწყვეტას დასთანხმდეს. ბუნებრივია, ამის წინააღმდეგ ბრძანებულებები გაილაშქრებენ. ხომ გვახსოვს, ბორის ჯონსონის როლი სტამბულისა და მანამდე, მინსკის ხელშეკრულებების ჩაშლაში... სხვა მოწინააღმდეგე ძალებიც გამოჩნდებიან. ცხადია, დემოკრატებიც ფეხს გამოყოფენ და არც თავად ტრამპის პარტიაშია ამ საკითხზე კონსენსუსი. თუმცა 47-ე პრეზიდენტი შეეცდება, თავისას მანც მიაღწიოს. თუ ჩემს პირობებს არ შეასრულებთ, დახმარებას შეეწყ-

ვეტ — აი, რას იტყვის იგი უკრაინას, რაც მისთვის კატასტროფა იქნება. ვინაიდან, უკრაინას ძალიან მწირი საკუთარი სამხედრო სამრეწველო კომპლექსი აქვს. მისი არმია, დიდწილად, იმპორტირებული იარაღით მომზად. უკრაინის სამხედრო სამრეწველო კომპლექსი, კორუფციის გამო ვერ ამუშავდა. არადა, ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოტენციის მქონე სამხედრო სამრეწველო კომპლექსი იყო, რაც უკრაინას საბჭოთა კავშირისგან ჰქონდა.

რაც შეეხება რუსეთს, ის ფრონტის ხაზზე, მიუხედავად დანაკარგებისა, წინ მიიწევს. მისთვის ვაჭრობის საგანი მოლაპარაკების მაგიდაზე აღარ იქნება ყირიმი, დონეცკი, ლუგანსკი და ასევე ზაპოროჟიეს და ხერსონის ოლქები. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ მოიზრე-

ბიან, ამ ყველაფრისგან მაქსიმალური მოგება ნახონ. თავის დროზე, მინსკის ხელშეკრულებაზე ხელი რომ მოწერილიყო, ეს უბედურება აღარ დატრიალდებოდა. მეტიც, უკრაინის ნატო-ში შესვლის საკითხი საერთოდ აღარ დადგებოდა და ის, როგორც სახელმწიფო, განვითარდებოდა.

რაც შეეხება ისრაელი-არაბეთის კონფლიქტს, ტრამპი რადიკალურად პროებრაელი პოლიტიკოსია. მისი სიძე — კუშნერიც ებრაელია და როგორც ამბობენ, მან იუდაიზმი მიიღო, მაგრამ ეს არ დასტურდება. დღეს ნეთანიაჰუს მხარდაჭერა ტოქსიკური მოვლენაა, რაც სერიოზულ საერთაშორისო წინააღმდეგობას იწვევს. მოგეხსენებათ, გაერო-ს გენერალური ასამბლეაში, აშშ და ისრაელი სრულიად იზორილებული აღმოჩ-



ნენ. რეზოლუციას, რომელიც ისრაელის მოქმედებებს გმობს, საწინააღმდეგო ხმა მხოლოდ მათ მისცეს, ცხრა მცირე სახელმწიფომ კი თავი შეიკავა. ეს კრაზია. შესაბამისად, ტრამპი, რომელიც ბუნებით ომის გამძაღველი არ არის, ამ კონფლიქტის დარეგულირებას შეეცდება. პალესტინის სახელმწიფო თუ არ შეიქმნა, ეს კონფლიქტი სხვაგვარად ვერ გადაწყდება. ნეთანიაჰუს უკიდურესად რადიკალური განზრახვები, „დიდი ისრაელი“ შექმნას და იმ ტერიტორიებიდან ეთნიკური წმენდის შედეგად მილიონი ადამიანი გაასახლოს, თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად, ამან შეიძლება, სრულიად საწინააღმდეგო შედეგები, ამასთან, ატომური იარაღის გამოყენება გამოიწვიოს, რაც ისრაელს გააჩნია. მას 90-მდე ატომური ბირთვული ქობინი აქვს და თუ ეს სიგიჟე არ შეჩერდა, საქმე ბირთვულ ომამდე მივა. ტრამპი სწორედ ამ პოზიციაზე დადგება. ამერიკელებს ამ შემთხვევაში პოზიტიური როლის შესრულება შეუძლიათ. ისრაელში მათი გავლენა დიდაა და მათ მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლიათ. ასევე, სხვა სახელმწიფოებთან ერთად ზავის ფორმულის შემუშავება, რისი საფუძველიც პალესტინის სახელმწიფოს შექმნა უნდა იყოს. ამ დილემიდან სხვა გამოსავალი არ არსებობს.

რაც შეეხება ჩინეთთან ურთიერთობას, ტრამპი ამერიკის რეინდუსტრიალიზაციას და ჩინეთთან ყველა ფრონტზე წინააღმდეგობის გაწევას შეეცდება, მაგრამ ისე, რომ ეს შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაიზარდოს. ის ასევე ეცდება რუსულ-



რატომ გვეჩვენებ „მეგობრები“ ასე უსამართლოდ?

„მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევის ცენტრის“ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების შეფასება

2024 წლის არჩევნებს ცენტრი შეაფასებს, როგორც მიუკერძოებელი მხარე, ამიტომ ხელისუფლებისა და რადიკალური ძალების ინტერესებზე მალა საქართველოს ინტერესებს დააყენებს. არჩევნების შედეგის შეფასება იწარმოებს იმ ორ ლოზუნგზე დაყრდნობით, რომლითაც ცდილობდნენ ოპონენტები ამომრჩევლის გულის მოგებას.

ხელისუფლების საარჩევნო ლოზუნგი შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე: „ხმა მიეცით მშვიდობას! ოთხ ნაწილად მოვლენილი ნაციონალების გამარჯვება საქართველოს უკრაინისა და ნიშნავს. არჩევანი მარტივია: უთხარით უარი ომს, ხმა მიეცით მშვიდობას და ევროკავშირში ღირსებით შესვლას“.

ოპოზიციის რადიკალური ნაწილის ლოზუნგს ჩამოყალიბებდა ასე: „ხმა მიეცით ევროპულ კეთილდღეობას! რუსი ოლიგარქი ივანიშვილისა და მისი ბანდის გამარჯვება ოკუპანტ რუსეთში დაბრუნებას ნიშნავს. არჩევანი მარტივია: ან კეთილდღეობა ევროპაში, ან სიღატაკე რუსეთში. ხმა მიეცით ევროპულ მომავალს“.

ამ ორი ორივემ კარგად იმუშავა, მაგრამ ამომრჩეველთა 54%-მა უპირატესობა ოცნების ხელისუფლებას მიანიჭა, ვინაიდან საკუთარი თვალთ დაინახა და დარწმუნდა, რომ ეს ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მალა არც ერთი „მეგობრის“ ინტერესს არ დააყენებს. ომს და მშვიდობას შორის ამომრჩეველთა უმრავლესობამ მშვიდობა რომ აირჩია კარგია, მაგრამ ცუდია, რომ მხოლოდ 54%-მა და არა გაცილებით მეტმა.

რაც შეეხება ოპოზიციის რადიკალური ნაწილის მოლოდინს, მიუხედავად საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ევროკავშირის წევრობის მომხრეა. ამომრჩეველმა ხმა სწორედ ევროპულ მომავალს და ევროკავშირის წევრობას მისცა, მაგრამ 54%-მა გადაწყვიტა, რომ ევროკავშირში უნდა შესულიყო ღირსებით და არა მუხლებზე დგომით. რუსეთში ვითომდა დაბრუნების პროპაგანდამ საერთოდ არ იმუშავა, სამაგიეროდ, იმუშავა „მეგობრების“ დაუფარავმა ზეწოლამ ამომრჩევლებზე: „თუ გამარჯვებას

„ოცნება“, ევროკავშირში ვერ შეხვალთო“. „მეგობრების“ ამგვარმა ჩარევამ „ოცნების“ სასარგებლოდ იმუშავა, შედეგად „ოცნებამ“ დამატებითი ხმები მიიღო ამომრჩეველთა იმ ნაწილისგანაც, ვინც საერთოდ არ აპირებდა არჩევნებზე წასვლას.

მოტანილი ფაქტორების გათვალისწინებით, „ოცნების“ გამარჯვება ლოგიკურია, ზოგადად კი ვიტყვი, რომ საქართველოში ყოველთვის უნდა გამარჯვდეს იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც საქართველოს ინტერესებზე მალა უცხო ქვეყნის ან ქვეყნების ინტერესებს არ დააყენებს.

ხშირად გაგვივინია ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისგან ასეთი სიტყვები: „ამდენი წელია ხელისუფლებაში არიან, რით ვერ გაძლენ, დაუთმონ გზა სხვა ძალებსო“. ასეთი აზროვნების პოლიტიკოსებს შეეახსენებ, რომ ხელისუფლებაში რიგში დგომის ხანგრძლიობის მიხედვით არ მოდიან. ხელისუფლებას ქირაობს ხალხი, აკეთებს ამას არჩევნების საშუალებით და არჩევნების დღეს, ვინაიდან ეს ერთადერთი დღეა, როდესაც ხალხი ხელისუფლებას ანტიკომ, ხალხი წვევს, ვინ უნდა იყოს ხელისუფლებაში, უნდა გაუგრძელოს მოქმედ ხელისუფლებას მანდატი, თუ უნდა გაუშვას ხელისუფლებიდან. დღეს ამომრჩევლის 54%-მა ოცნებას გაუგრძელა მანდატი, მაგრამ, როდესაც უკეთეს ძალას დაინახავს, იმ უკეთეს გადასცემს მანდატს, „ოცნება“ კი მიულოცავს გამარჯვებულს და ოპოზიციიდან განაგრძობს საქართველოს ინტერესებზე ზრუნვას, ანუ ახალ ხელისუფლებას კონსტრუქციულ ოპოზიციად მოეგვინება. რატომ მოიქცევა ასე? იმიტომ, რომ დემოკრატიის არსი სწორედ ამანია. რადიკალების მიერ რუს ოლიგარქად მონათლულმა ივანიშვილმა სწორედ დემოკრატიის ენაზე უთხრა საქართველოს მოსახლეობას, რომ „მოვა დრო და არჩევანს გააკეთებთ კარგს და უკეთესს შორისო და რომ „მეგობრები“ საკუთარ აგენტებს საქართველოს ხელისუფლებაში ვეღარ

მოიყვანენო“. მაგრამ „მეგობრები“ სწორედ ამას ცდილობენ, ამიტომ, თუ რადიკალური ძალებთან ერთად „მეგობრებიც“ ჩათვლიან 2024 წლის არჩევნებს გაყალბებულად, ასეთ შემთხვევაში ვურჩევ ხელისუფლებას, შეიტანოს სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში იმ „მეგობრების“ წინააღმდეგ, ვინც არჩევნების შედეგს არ აღიარებს. ამას არ ვურჩევდი ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების შესაძლებლობის მცირედი ალბათობაც რომ არსებობდეს. თუ „მეგობრე-

რედ წოდებული ცენტრის სახელით არჩევნების შედეგი უნდა შემეფასებინა არა ოპონენტების ინტერესების გათვალისწინებით, არამედ მხოლოდ საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ გამომივიდა „ოცნების“ ქება. რატომ? ვისთვისაც საქართველო სამშობლოა, მიხვდება რატომ, ვისთვისაც მხოლოდ საცხოვრებელი ადგილი, შემძლია ვუთხრა მხოლოდ ის, რომ ხელისუფლება საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებზე უნდა

გვეუბნებინ, რომ გვსიამოვნებს ამის მოსმენა, იმედიც მატულობს და ნდობაც იზრდება „მეგობრების“ მიმართ. სინამდვილეში კი, სწორედ სიტყვებით: „ვადიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასო“, ყურებით ვყავართ დაჭვრილები და მართლა რომ არ დაგვაგლიჯონ ჩვენივე ყურები, სასწრაფოდ უნდა გავამთლიანოთ საქართველო. ამისათვის საკმარისია თბილისსაც, სოხუმსაც და ცხინვალსაც დაელაპარაკოს კონფლიქტების დარეგულირების



ბი“ არჩევნებს გაყალბებულად ჩათვლიან, მხოლოდ იმიტომ ჩათვლიან, რომ ასე აწყობთ. იბადება შეკითხვა, რატომ უნდა აწყობდეთ „მეგობრებს“ აშკარა უსამართლობა, რისთვის სჭირდებათ ეს? ამ შეკითხვაზე საკუთარი ხედა არაერთხელ გამოუთქვამთ „ოცნების“ ლიდერებს, მეც გამომიქვეყნებია პუბლიკაციები, მაგრამ მზად ვარ, ამომწურავი პასუხიც მოვაშხადო და მივაწოდო საზოგადოებას ამავე გაზეთის საშუალებით. მთავარია, მიმანიშნოს საზოგადოებამ, რომ უნდათ იცოდნენ, რატომ გვექცევინ „მეგობრები“ ასე უსამართლოდ?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხა-

ზრუნავდეს და „ოცნება“ სწორედ ამას აკეთებს. რამდენად კარგად აკეთებს, აქ შეიძლება კამათი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ერთგულია.

რაც საკამათოდ მიმაჩნია, იმასაც ვიტყვი. მაგალითად, „ოცნება“ გვიპირდება, მშვიდობიანი გზით გავამთლიანებთ საქართველოსო. რას აკეთებს ამისათვის? ან რის გაკეთება შეუძლია? „ოცნებამ“ შესანიშნავად იცის, რომ შიგნიდან რადიკალებს, გარედან კი „მეგობრებს“ არ აწყობთ საქართველოს გამთლიანება მშვიდობიანი გზით. მათ ძალიანსიერი გამთლიანება აწყობთ, ვინაიდან ამით მეორე ფრონტს გაუხსნიან რუსეთს. ამიტომ, ხელისუფლების პირველივე ნაბიჯი მშვიდობიანი დარეგულირებისკენ, გამოიწვევს ათასგვარ სანქციას და სხვა ხელისშემშლელ ბერკეტებს ჩვენივე „მეგობრების“ მხრიდან. რადიკალები კი აყვირდებიან: „ხალხო გამოდით, ვერ ხედავთ რუსი ოლიგარქი რუსეთში რომ მიგერეკებათ ცხვრებივითო“. აი, ამ რეალობის წინაშე დადგება „ოცნება“, თუ პირადად დაიწყებს ლაპარაკს სოხუმთან და ცხინვალთან. ყურადღებანი მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება ასეთი შეკითხვა: „თუ „მეგობრები“ საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანების წინააღმდეგი არიან, რატომ გვეუბნებიან, ვადიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასო“? იმიტომ

მიზნით დარეგულირებული მდიდარი ენჯეო. ასეთი ენჯეო არც სახელმწიფოა და არც ხელისუფლება, ჩვეულებრივი არასამთავრობო სტრუქტურაა, რომელსაც „მეგობრები“ სანქციებს ვერ დაუწყებენ. მიიღიარებენ უნდა იყოს იმიტომ, რომ ღარიბ ენჯეო-ს თვითონაც წარმოადგენ და ზომ ხედავთ, ვერ და მორჩა, მეტი არაფერი შემიძლია. ამიტომ, გამოვიყენებ არჩევნების შედეგის შემფასებელ პუბლიკაციას ბიზნესმენების მისამართითაც.

„აფხაზ და ოს ძმებთან ერთად საქართველო უფრო ძლიერი გახდება. ბიზნესმენები ეკონომიურად აძლიერებთ საქართველოს, შეგიძლიათ გააძლიეროთ პოლიტიკურადაც. თუ დააფუძნებთ საქართველოს გამთლიანებაზე ორიენტირებულ ენჯეო-ს, ამით გადადგამთ პირველ ნაბიჯს საკუთარი ქვეყნის გასაძლიერებლად. მომდევნო ნაბიჯების გადადგმაში ის სპეციალისტები დაგეხმარებიან, რომლებსაც მოიწვევთ საკუთარ ენჯეო-ში. გათავაზობთ, ენჯეო-ს დაარქვით „აფხაზების, ოსებისა და ქართველების ძმობის ცენტრი“.

ვინაიდან ცოტა რამ მაინც გამეგება საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით, ჩემი მხრიდან დახმარება გექნებათ.

და ბოლოს, ყველას, ვინც მშვიდობის ფასი იცის, ვულოცავ ტრამპის გამარჯვებას.

როლანდ ნიკოლაივილი



ამას წინათ, ერთ-ერთ ლიბერტარიანულ სატელევიზიო გადაცემაში მიწვეული ჰყავდა ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, ფიზიკურად და სულიერად მშვენიერი ქართველი გოგონა, რომელსაც ჰკითხეს: ოჯახს უნდა ჰყავდეს თუ არა უფროსი და თუ - კი, მაშინ ვინ უნდა იყოს ეს უფროსი?

ასეთი ბანალური და თავისი მიზნით ქვეყნისათვის საზიანო შეკითხვა რატომაც ისმება და რისთვისაც არის გამიზნული, მისი შეფარულობის მიუხედავად, მაინც მისახვედრი და ნათელია. ეს და მსგავსი შეკითხვები ემსახურება მამაკაცის როლი ეჭვქვეშ დაყენებას და ქართული ტრადიციული ოჯახის სიმტკიცის მოშლას. დასძულ შეკითხვას გოგონამ უყოფმანოდ და თამამად უპასუხა, რომ ოჯახის უფროსად აუცილებლად უნდა იყოს კაცი. ამაზე უკმაყოფილო ტონით წამყვანმა შეკითხვა შეუბრუნა, რატომ ქალი არაო? გოგონამ თავისებურად დაუსაბუთა კაცის უფროსობის აუცილებლობა.

ამასთან დაკავშირებით მოკლედ ვიტყვი. ეს საკითხი დიდი ხნის წინათ არის უკვე გარკვეული, გადაწყვეტილი და დადგენილი, საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების მიერ შემოწმებული და დღეს აქსიომად ქცეული. მისი უტყუარობა დადასტურებულია და განსჯას და განხილვას არ ექვემდებარება. დღევანდელი და მომავალი ჩვენი ცხოვრება მისი განხილვის საჭიროებას არ მოითხოვს. ამაზე საუბარიც აღარ უნდა იყოს. ჩვენი ფიქრის საგანი ეს კი არა, არამედ სხვა არსებითი, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებია. ამ ფსევდოსაკითხის დასმა ქვეყნის გარედან დაკვეთის შედეგია, რომ ყურადღება საარსებო საკითხებზე ფიქრიდან და ზრუნვიდან ქვეყნის საზიანო სხვა მიმართულებით იქნას გადატანილი.

დასმული შეკითხვა მომდინარეობს ტრადიციული ოჯახური ურთიერთობისა და ოჯახის სიმტკიცის რღვევის მიზნით გარედან შემოგდებულ ოჯახში ე. წ. თანასწორობის იდეიდან. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თუ თანასწორობაზე ლაპარაკი, მაშინ დასმული შეკითხვა, თუ ვინ უნდა იყოს ოჯახის უფროსი, უადგილო და უაზროა. თუმცა ლიბერტარიანელებს ლოგიკა და თანმიმდევრობა არ მოეკითხებათ.

ახლა ცოტა რამ ქართული

ტრადიციული ოჯახის ანბანის შესახებ. მართალია, ჰარმონიულობისათვის ოჯახში არ უნდა იყოს მონობა, მაგრამ არც აბსოლუტური თანასწორობა უნდა სუფევდეს, ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს პასუხისმგებლობას და უფროს-უმცროსობის მიხედვით პატივისცემას, რასაც საფუძვლად სიყვარული უდევს. როგორც ყველა უჯრედს ჰყავს ხელმძღვანელი, ასევე ოჯახსაც ცხოვრების სწორად წარმართვისა და წესრიგისათვის უფროსი ესაჭიროება. პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახის უფროსობა მოვალეობაა და არა პატივი და ყოველთვის აქედან უნდა გამოვიდეთ. შედარებისათვის, როგორც სახელმწიფოში ყველა თანაბარი არ არის და ყველას ერთნაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ასევე ოჯახიც. ოჯახში უფროსი ხელმძღვანელი და, შესაბამისად,



ქართული ოჯახი

სად, პასუხისმგებელია. ვისაც ამის უნარები აქვს, კერძოდ, გონიერია, ძლიერია, ოჯახის რჩენა, პატრონობა და მართვა შეუძლია, ის არის ოჯახის უფროსი. ბუნებრივად ასეთი მამაკაცია. ღმერთმა და ბუნებამ მამაკაცს მისცა ეს უნარი, ამიტომ ბუნებრივად და ისტორიულად მამაკაცია ოჯახის უფროსი და ხელმძღვანელი, ხოლო ქალს აღმატებული დედობის, სიცოცხლის წყაროს, ოჯახის სიწმინდის, სიმტკიცის, საყრდენის, დედაბოძის ფუნქცია უბოძა და თუ იქნება ისეთი შემთხვევა, რომ ოჯახში ქალს აღმოაჩნდება მამაკაცზე მეტი უნარი, შეეძლება ოჯახის მართვა და გაძღოლა, მაშინ ქალი იქნება ხელმძღვანელი და აქ არაფერია საგანგაშო და ამის ფაქტები უამრავი შეიძლება მოიძებნოს ცხოვრებაში. ასე რომ, ქართულ ტრადიციულ ოჯახურ ურთიერთობაში არავინ არის დამცირებული და დაჩაგრული. ყველას შესაბამისი საპატიო ფუნქცია აქვს და საპატიო ადგილი უკავია, ოჯახში კი სრული წესრიგი და ჰარმონია სუფევს. იქ არაფერია განსაკითხი და არავინ არის დასაცავი. ქართული ოჯახი წესრიგის, დისციპლინის, წესიერებისა და აღზრდის კერაა და არა თავნებობის, თავაშ-

ვებულობის და ანარქიის გარემო, სადაც ვისაც როგორ უნდა, ისე შეუძლია მოიქცეს. ოჯახი ის გარემოა, სადაც მომავალი თაობა ღირსეულ მამულიშვილებად ყალიბდება. ამის მნიშვნელოვანი საფუძველია ოჯახში კაცსა და ქალს შორის მორალური ნივთიერება, ანუ გათანაბრება. რომელთა შორის შესაბამისად არის ფუნქციები განაწილებული და შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობები. მსოფლიოში არცერთი ერის ოჯახურ ურთიერთობებში ქალი ასეთ საპატიო სიმადლეზე არ არის აყვანილი და არცერთ ენაში არ მოიძებნება ქალისადმი ისეთი ამაღლებული და საპატიო ეპითეტები, როგორებიცაა „დედაკაცი“ და „დედაბოძი“. ეს წოდებები ქართველ ოჯახის ქალს, მეუღლეს, დედას, თავისი ფუნქციის ღირსეულად შესრულების გამო აქვს დამსახურებულად მოპოვებული. ქართველი ოჯახის დედა თავისი ტრადიციული დამსახურებით იმ სიმადლეზეა ასული, რომ იქამდე ასვლა სხვას ძალიან გაუჭირდება. დღეს კი თავხედურად და უტიფრად ოჯახურ ურთიერთობებს ჩვენ სოროსის უგუნური და ბინძურ ჯურღმულში გამოჩეკილი ვიგინდარები გვასწავლიან.

ქართულ ოჯახზე ქალის

უფლებების საბაბით მსჯელობა, როგორც ითქვა, გამიზნულია ტრადიციული ოჯახის სიმტკიცის რღვევისა და ქართველი ერის დაუძლურებისათვის. მტკიცე ოჯახი ხომ ერისა და სახელმწიფოს საიმედო ბურჯია და მის შერყევას ერის შერყევა მოსდევს. ქართულ ოჯახში ქალს არავისგან დასაცავი არაფერი არ სჭირს, ხოლო, როდესაც მიზანმიმართულად გარედან ხელოვნურად ხდება ოჯახური ურთიერთობების არევა, როგორც დღეს, სწორედ მაშინ ჩნდება ოჯახური კონფლიქტები და მაშინაც საკითხავი და გასარკვევი ხდება, სინამდვილეში ვინ ვისგან არის დასაცავი, ქალი კაცისგან, თუ კაცი - ქალისგან. გარედან მითითებებისა და მოთხოვნების საფუძველზე ასეთ გაუგონარ ვითარებამდეც მივდივართ. სამწუხაროდ, განშირდა ოჯახის რღვევის შემთხვევები და ამ სავალალო საქმეში ღომის წილი უდევთ ქვეყნის გარედან მოქმედ ე. წ. ქალთა უფლებების დაცვაზე მზრუნველებს.

გარედან უცხო ძალების ოჯახში ჩარევა და მასში უსაფუძვლოდ ფუნქციების ხელოვნურად შეცვლისა თუ ჩანაცვლების მოთხოვნა დაუშვებელი და მიუღებელია. მას, ვისაც ქართულ ოჯახში დისპარ-

მონია შეაქვს, ოჯახებს ანგრევს და ქართველი ერისათვის უბედურება მოაქვს. ოჯახი საჯიროთო ცხენი ხომ არ არის, რომ მასზე ხან კაცი იყოს ამხედრებული და ხან ქალი, ოჯახი არც თავის ნებაზე მიშვებულ ველოსი ცხენია.

ქართული ოჯახის ტრადიციული ფორმითა და წესით არსებობა ისტორიული თანაცხოვრების პრაქტიკამ და გამოცდილებამ განაპირობა და ვინმეს სურვილით ან კარნახით არ ჩამოყალიბებულა. ამიტომ მასში გარედან კორექტირების შეტანა უადგილო და ჭეშმარიტი ოჯახისათვის ზიანის მომტანია. ქართული ოჯახს თუ რაიმე ნაკლი ჰქონდა, თავად საუკუნეობრივმა თანაცხოვრებამ შეასწორა და დღეს მის შესასწორებლად და ვითომ მის მოსაგვარებლად ტყუილად თავს ნურავინ შეიწუხებს. გადამითვალთ თავებში თიხარშულის რეკომენდაციები მოვიანთთვის შეინახონ, თავიანთი ოჯახური ცხოვრების წესებს მიხედონ და ქართულ ოჯახსა და ქართველ ქალს თავი დაანებონ.

და ბოლოს, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ კაცსა და ქალს ცხოვრებაში თავიანთი შეუცვლელი ადგილები უკავიათ, ერთი და მეორეც თავიანთ ადგილზე საჭირონი და აუცილებელნი არიან. ისინი ვერასოდეს ვერ ჩანაცვლებენ ერთმანეთს და მათი ჩანაცვლების თუ ურთიერთში გადასვლა--გარდასახვის მცდელობის გამართლება არანაირი იდეოლოგიით არ შეიძლება. ასე რომ, ქალსა და კაცს შორის განსხვავება ღმერთმა დააწესა. ეს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა. ეს განსხვავება გადაულახავი ზღუდეა, ხოლო მისი გადალახვის მცდელობა სიგიჟე და მკრეხელობაა, რასაც გამართლება არა აქვს. ეს განსხვავება სამყაროსეული კანონზომიერებაა და მისი დარღვევის მცდელობა ადამიანს დაღუპავს.

ამბროსი კავლელაშვილი
პროფესორი, ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი



ისტორიული მოვლენა მოხდა გასულ კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც საიუბილეო, მე-60 საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მხოლოდ აშშ-სთვის როდი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წლები, არამედ მსოფლიოსთვისაც, რადგან აშშ-ის ადმინისტრაციის კურსზე ბევრი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაა დამოკიდებული.

წლებად, 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატი, მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი და რესპუბლიკელი ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არანაზულად ბინძური წინასაარჩევნო კამპანიის შემდეგ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მწვავე სამოქალაქო არეულობას მოელოდნენ. ამიტომაც შემოღობეს თეთრი სახლი და კაპიტოლიუმის შენობა, მათ აღსაკვეთად მზადყოფნაში მოიყვანეს ფედერალური ჯარებიც. მოკლედ, ქვეყანაში სიტუაცია უკიდურესად იყო დაძაბული.

არჩევნების დაწყებამდე დონალდ ტრამპი აცხადებდა, რომ მისი მხარდამჭერები არანაირ არეულობას არ მოაწყობდნენ, რა შედეგითაც უნდა დასრულებულიყო არჩევნები. თუმცა, იგი დარწმუნებული იყო გამარჯვებაში და არჩევნებზე მისვლისკენ მოუწოდებდა საკუთარ ამომრჩევლებს.

არჩევნებისადმი ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ მოსახლეობა პრეზიდენტის გარდა სენატისა და კონგრესის წევრებსაც ირჩევდა. ორივე პარტიისთვის გან-

გან განსხვავებით, გაურკვევლობაში მიმდინარეობდა. წინა არჩევნებში წინასწარ გამოკითხვებში ჯო ბაიდენი ლიდერობდა, რომელმაც ფერადკანაინი მოსხლეობის, განსაკუთრებით აფროამერიკელი ამომრჩევლის მიმხრობა შეძლო. ახლა გამოკვეთილი ლიდერი არჩევნებში არ ყოფილა. ვითარება წინასწარმა გამოკითხვებმა დაძაბა, რესპუბლიკელებისა და დემოკრატების მხარდამჭერი ტელევიზიები განსხვავებულ ინფორმაციას გადმოსცემდნენ. განსაკუთრებულ ინტერესს ე. წ. მერყევი შტატების შედეგები იწვევდა — რომელი კანდიდატი შეძლებდა ნეიტრალური ამომრჩევლის ხმების მოპოვებას.

დონალდ ტრამპმა და მისმა მეუღლემ მელანიამ ფლორიდის

ტრამპს გამარჯვება მიულოცა. პარისი ცდილობდა, მხნედ ყოფილიყო, მაგრამ ხმა უკანკალებდა, და გაცინება ვეღარ შეძლო. მისი მხარდამჭერები კი ცრემლებს ვერ იკავებდნენ და ტიროდნენ.

დონალდ ტრამპს გამარჯვება მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მიულოცა, ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემა აღუთქვა და საქმეების გასაცნობად თეთრ სახლში მიიწვია. გაგრძელებული ინფორმაციით, ახლარჩეული პრეზიდენტი თეთრ სახლში მხოლოდ ინაუგურაციის შემდეგ შევა, რომელიც 20 იანვარს გაიმართება. მანამდე კი, 17 დეკემბერს, ამომრჩეველთა კოლეგია კენჭს უყრის გამარჯვებულს, ხოლო 6 იანვარს კონგრესის ახალი შემადგენლობა



ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები მუვიდობიანად დასრულდა

შტატში, პალმ-ბიჩის საარჩევნო უბანზე მისცეს ხმა, სადაც დაცვის გაძლიერებული ზომები გატარდა. „კარგი წინასაარჩევნო კამპანია ვაწარმოეთ. მე ვიტყვი, ყველაზე საუკეთესო, რაც აქამდე ჩამიტარებია“, — მოკლედ უთხრა ტრამპმა ჟურნალისტებს.

საბედნიეროდ, საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში მშვიდობიანად დასრულდა. გამართლდა ტრამპის იმედი, რომელმაც ამკარა უპირა-

არჩევნების შედეგებს დაამტკიცებს. სამოქალაქო ომის აცილება შეძლეს აშშ-ში. ახლა მთავარი შეკითხვაა, რა იქნება მომავალში, რას მოიქმედებს მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტი. წინასაარჩევნი დაპირებები ერთია, მაგრამ შეძლებს კი მათ განხორციელებას? რესპუბლიკელებმა სენატში უმრავლესობის მოპოვება შეძლეს, სავარაუდოდ, კონგრესშიც შეინარჩუნებენ. უმაღლეს სასამართლოში

რამ ამის დამადასტურებელი ჩანაწერი არსებობს. არც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი და გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი უნდა იყვნენ მშვიდად.

ყველას მაინც უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ აჯობა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა ტრამპს გამარჯვება და ტელეფონითაც ესაუბრა. საინტერესოა, რომ ტრამპმა პირველი ვადით პრეზიდენტობისას სთხოვა, გადაეცა მასალები ჯო ბაიდენის შვილის, ჰანტერის კორუფციულ სქემებში ჩართულობაზე. ზელენსკიმ დოკუმენტები არ გადასცა, საუბრის შინაარსი გაასაჯაროვა, რის გამოც დემოკრატებმა ტრამპის იმპიჩმენტის საკითხი დააყენეს. თავად ზელენსკიმ თუ დაივიწყა, სავარაუდოდ, ტრამპს კარგად ახსოვს მისი საქციელი.

ახლა დემოკრატები მსჯელობენ, რა გახდა მათი კანდიდატის დამარცხების მიზეზი. პარტიის წევრები ხელს ერთმანეთისკენ იმეორენ და ყველას ადანაშაულებენ, გარდა საკუთარი პოლიტიკის სისუსტისა. სპეცპროკურორი ჯეკ სმიტი, რომელმაც ტრამპს სხვადასხვა ბრალდება წაუყენა, ახალ სამსახურს ეძებს. თუმცა, როგორც იუწყებიან, მანამდე აღძრული საქმეების დახურვას აპირებს...

გასულ კვირას, აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფის დედაქალაქში ევროპის თანამეგობრობის თანამშრომლობის არაფორმალური სამიტი ჩატარდა. მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის ერთ-ერთი ამოცანა ნატო-ს ახალ გენერალურ მდივანთან მარკ რიუტესთან შეხვედრა იყო. საგულისხმოა, რომ ევროპის ქვეყნების მმართველები აშშ-ში არჩევნების შედეგით აშკარად დაბნეულები იყვნენ და კონკრეტულ საკითხებზე საუბრისგან თავს იკავებდნენ. მაგალითად, ევროკავშირის ხელმძღვანელებმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა და შარლ მიშელმა ჟურნალისტების შეკითხვაზე — განაგრძობს თუ არა ევროკავშირი უკრაინისთვის დახმარების გაგრძელებას, თუ აშშ შეუწყვიტავს ქვეყანას დაფინანსებას, არაფერი ან

ვერაფერი უპასუხეს, ორივე ჩინოვნიკი ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა.

სამიტზე მყოფი უკრაინის პრეზიდენტი კვლავ ითხოვდა დაფინანსებას იარაღის შესაძენად. ცეცხლის შეწყვეტაზე და სამშვიდობო მოლაპარაკებაზე არაფერი უთქვამს. ამიტომაც განაცხადა სამიტის დასრულების შემდეგ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ ჟურნალისტებთან: „... თქვენ გინახავთ ადამიანი, რომელსაც ომის დასრულების ემინია? მე ვნახე — ეს უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკია. იგი შოკირებულია ტრამპის გამარჯვებით, რადგან იგი აპირებს, შეუწყვიტოს მას დაფინანსება“.

სამთავრობო კრიზისმა დაისადგურა გერმანიაში. გასულ კვირას ქვეყნის კანცლერმა თანამდებობიდან გადააყენა ფინანსთა მინისტრი კრისტინ ლინდერი. მიზეზი უკრაინის დაფინანსება გახდა, მინისტრი წინააღმდეგ წავიდა გაგრძელებიდან მისი ფინანსური დახმარება 2025 წელსაც, რაზეც ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე თქვა უარი. შოლციმ გერმანიის პრეზიდენტს ვალტერ შტაინმაიერს მიმართა მინისტრის გათავისუფლების თაობაზე, პრეზიდენტმა დააკმაყოფილა კანცლერის თხოვნა და ლინდერის გარდა კიდევ ორი მინისტრი გადააყენა.

გერმანიის სამთავრობო კოალიცია დაიშალა. გაგრძელებული ინფორმაციით, შტაინმაიერი ბუნდესტაგის დათხოვნას და ვადამდე აღარჩევნების დანიშვნას აპირებს. ამასვე ითხოვს ოპოზიცია. ნერვებმა უმტყუნა შტაინმაიერსაც, რომელმაც ბერლინის კედლის დანგრევის აღსანიშნ ღონისძიებაზე თავში ჩაარტყა მწერალ მარკ მარტინს, რომელმაც ნატო-ს საწინააღმდეგო გამოწვევებში დაადანაშაულა.

რა სასიკეთო ცვლილებებს შესთავაზებს აშშ-ის 47-ე პრეზიდენტი ქვეყანას და მსოფლიოს, ინაუგურაციის შემდეგ გამოჩნდება, თუმცა მანამდე ბევრ ქვეყანაში პოლიტიკური რყევები გარდაუვალია.

ბი ა ბურღული



საკუთრებულად მნიშვნელოვანია, სენატსა და წარმომადგენლობით პალატაში უმრავლესობა მოიპოვონ, რათა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მათთვის სასურველი პოლიტიკა გაატარონ.

1960 წლიდან ასეთი გრადაცია დამკვიდრდა აშშ-ში — საპრეზიდენტო არჩევნების დროს პირველი საარჩევნო უბანი შუაღამისას იხსნება ნიუ-ჰემპშირის შტატის უსტატუსო დასახლებულ პუნქტში, დიკსპოლ-ნოტჩში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით, უშუალოდ კანადის საზღვართან მდებარეობს. უბანი იხურება კენჭისყრის დასრულებისთანავე. შედეგებს ხმების დათვლის შემდეგ აცხადებენ. სწორედ ამით იპყრობს ჟურნალისტების ყურადღებას. წლებულს დასახლებებაში ტრამპმა და ჰარისმა ხმები თანაბრად გაიყვეს, თითოეულს სამმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი. სწორედ ეს 6 ადამიანია დასახლების ძირითადი ამომრჩეველი, თუმცა ოთხი მათგანი აცხადებს, რომ რესპუბლიკელების მომხრეა.

წლებად, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების-

ტესტობით გაიმარჯვა. ყველა შეიღმერყევი შტატში (არიზონა, ვისკონსინი, ჯორჯია, მიჩიგანი, ნევადა, პენსილვანია, ჩრდილოეთ კაროლინა) კონკურენტს არანაირი შანსი არ დაუტოვა.

საერთოდ, აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ერთობ უცნაური და ზოგჯერ გაურკვეველი სქემით რომ ტარდება, ცნობილია. მოსახლეობის გარდა, არჩევნების შედეგის ცნობისთვის მთავარი და მნიშვნელოვანი ამომრჩეველთა კოლეგიის გადაწყვეტილებაა. 538 ამომრჩეველი გადაწვეტილებულია შტატებს შორის, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. გამარჯვებისთვის კანდიდატმა 270 ამომრჩევლის ხმა უნდა მიიღოს. თუმცა, უკვე ხმის დათვლის პროცესში გაირკვა, რომ ტრამპი ამკარა უპირატესობით გაიმარჯვებდა.

დონალდ ტრამპმა გამარჯვება იხეიმა. მან მადლობა გადაუხადა მხარდამჭერებს და კიდევ ერთხელ განაცხადა: „გავხადოთ ამერიკა დიადი“. დამარცხებით აშკარად შოკირებული იყო კამალა ჰარისი, რომელმაც წაგება აღიარა და

ტრამპს უმრავლესობა ემხრობა. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი პოლიტიკური შესაძლებლობები მყარია.

მოკავშირეებისა და აშშ-ის კონკურენტებისთვის ახლა ძნელი გამოსაცნობია, როგორი იქნება ტრამპის მათდამი მიდგომა, რაც მათი შემოფოთების საბაბი უნდა გახდეს, აცხადებს შვედი პოლიტოლოგი გარეთ ჯენკინსი. მისივე თქმით: „ტრამპი პატივს სცემს ძლიერ, დამოუკიდებელ ხელისუფლებებს სხვა ქვეყნებში... კონტაქტზე უარს არავის ეტყვის, მაგრამ თუ დაინახა, რომ საქმე ისე არ მიდის, როგორც მას უნდა, შეუძლია, მტრულადაც მოიქცეს“.

ტრამპის გაპრეზიდენტებით ევროპაშიც შემოფოთებულები არიან. განსაკუთრებით ის მოღვაწეები, რომლებიც კრიტიკას არ იშურებდნენ მის მიმართ. გასულ კვირას პოლონეთის პრემიერ-მინისტრს დონალდ ტუსკს ჟურნალისტებმა შარმანდელი ნათქვამი გაასხენეს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ტრამპის გადაბირების შესახებ. თუმცა მან კატეგორიულად უარყო, მსგავსი არაფერი მითქვამსო, მაგ-

უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაში დაკარგული სამართალი



თბილისში, ზუბალაშვილების ქუჩაზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განთავსებულია. ეს შენობა დიდი ხანია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში საპატიო ადგილს იკავებს. თაობებს ახსოვს მისი ძალა და დიდება, რადგან აქ ადამიანები თვით საბჭოთა რეჟიმის დროსაც კი აღწევდნენ სამართალს.

ერთ დროს უზენაესი სასამართლოს იურისტთა სამჭედლოსაც უწოდებდნენ, ამიტომაც შემორჩა მომავალ თაობებს მისი პატივისცემა.

საბჭოთა რეჟიმის ცვლილების შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ტრადიციულად წარმატებით განაგრძო. მოსამართლეთა შედარებით ახალმა თაობამ ტურავას, გვენეტაძისა და სხვების დახმარებით მალევე მოახერხა, ალლო აელო თანამედროვე სამართლისთვის. იმ დროისთვის უზენაესი სასამართლოსთვის ყველა კატეგორიის დავის განხილვა სავალდებულო იყო. მასხოვს იმ დროის განხორციელებული პროცესები, მათ შორის, „მხედრიონის“ საქმეც. მერე იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ხანა. უზენაესი სასამართლოდან დემარშით წამოსული მოსამართლეთა დიდი გუნდი, რომელთა გათავისუფლების საბაბად თითქმის გამოწვეული ბრალდებები იყო დასახელებული. როგორც აწ განსვენებული ჩემი მეგობრის, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლისგან, ლობჯინაძისგან მასხოვს, უკანონო ბრალდებით წამოსულმა მოსამართლეებმა მათი გათავისუფლება სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივრეს, საქმე მათ სასარგებლოდ დასრულდა -

სახელმწიფოს სოლიდური კომპენსაცია დააკისრა.

ეს, რაც შეეხება წარსულს, მაგრამ რა ხდება ახლა უზენაეს სასამართლოში, როგორც მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოში? როგორც სხვა ინსტიტუტებმა, უმაღლესმა სასამართლომაც ტრანსფორმაცია განიცადა. ცვლილება მოხდა კანონმდებლობაში და, ფაქტობრივად, დღევანდელი უზენაესი სასამართლო უფუნქციოდ დარჩა. ამ უკანასკნელს კანონმდებლობის მიხედვით აღარ ევალება ყველა დავის განხილვა. უფრო კონკრეტულად ამ თემაზე სასაუბროდ კანონმდებლობა მოვიშველიოთ. თუ სამოქალაქო კატეგორიის დავათა საკითხებს შევეხებით, საქმე უზენაეს სასამართლოში გადის დასაშვებობის ეტაპს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391 მუხლის 5 პუნქტის ა ქვეპუნქტის თანახმად, „საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.“ - რაც იმას ნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლო დასაშვებობის ეტაპზე საქმის განხილვის დროს წარმოაჩენს, რამდენად შეუწყობს ხელს აღნიშნული დავა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დადგენას. ამავ კოდექსის მიხედვით, სხვა შემთხვევებში დიდი ალბათობაა, რომ უზენაესმა სასამართლომ დავა საერთოდ არ განიხილოს. ცნობისათვის, არ არსებობს, მაგალითად, სამოქალაქო კანონმდებლობაში ე. წ. ნორმა, ურთიერთობა, რომლის შესახებაც უზენაესი სასამართლო არ უმსჯელია და არ დაუდგენია სასამართლო პრაქტიკა, რაც არა მხოლოდ მოქალაქეებში, არამედ ადვოკატთა წრეებშიც კი ხშირად გაუგებრობას იწვევს. თუ გსურს, სამართალს მიაღწიო, ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ საქმე წარმატებით დაასრულო პირველ და მეორე სასამართლო ინსტანციაში, რადგან კანონის ამ ლოგიკით, უზენაეს სასამართლოში შესული საქმე-

ბიდან, უმრავლესობა განუხილველი რჩება, როგორც დაუშვებელი სარჩელი. იგივე შინაარსისაა სისხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობაც, სადაც უზენაესი სასამართლოს პოლიტიკა ანტისაზოგადოებრივია. ბუნებრივად დაისმის შეკითხვა, წინასწარ როგორ უნდა განსაზღვროს მოქალაქემ, რა არის უზენაესი სასამართლოსათვის მისაღები, ან რა შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას მაშინ, როდესაც ყველა დავა ინდივიდუალურია?

ამ მაგალითიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეთა განხილვის პოლიტიკა ნამდვილად შესაცვლელია. როგორც ადრე, ყველა დავა უნდა დაექვემდებაროს უზენაესი სასა-

ბის 4%-ია და წაგების შემთხვევაში, მხარეს შეტანილი თანხიდან 25% ექვითება. ბუნებრივია, აქაც რჩება შეკითხვა: რატომ?

ალსანიშნავია ერთი ფაქტიც, ქართული სამართალი პრეცედენტულიც არის, რაც, ჩვენს ზოგიერთ მოსამართლეს ავიწყდება, მაგალითად, ერთ-ერთი გადაწყვეტილება ბულგარეთის წინააღმდეგ სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით, სადაც პირდაპირ ნათქვამია, რომ მოქალაქეს, მომიჩივანს სახელმწიფო ბაჟის ვერ გადახდის გამო არ უნდა შეეზღუდოს სასამართლოს ხელმისაწვდომობა და უნდა გადაუადგოს გადახდა, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ეროვნულ მართლმსაჯულებაში არ ვითვალისწინებთ. აქ კიდევ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენ-

სასამართლოს აქვს უფლება, არ დამატაციოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და უკან დაუბრუნოს განსახილველად. ამიტომაც არის, რომ სტრასბურგის სასამართლოში გერმანიიდან შეტანილი დავების სიმცირე თვალშისაცემია. ამ ფონზე, თუ ისეთი ევროპული სახელმწიფო, როგორც გერმანიაა, მათ შორის, მართლმსაჯულებაშიც ინარჩუნებს თავის პოლიტიკას, ჩვენ რა გვემართება? კანონი მაშინ არის მისაღები საზოგადოებისათვის, როდესაც მის ინტერესებს ემსახურება და არ არის საჭირო დამატებული საერთაშორისო მოთხოვნების გადმოტანა.

ჩვენ ვეცადეთ, წარმოგვიჩინა ჩვენი უზენაესი სასამართლოს დღევანდელი პოლიტიკის სინამდვილე, ამისკენ ჩემს მეგობართან დაკავ-



მართლოს განხილვას. მოქალაქეს იმედი აქვს, რომ სიმართლეს უზენაესში მაინც მიაღწევს, აგროვებს მტკიცებულებებს, რისთვისაც მატერიალურ რესურსს ხარჯავს, არ ეთანხმება სხვა ინსტანციებს, რადგან მათ სწორად არ გამოიკვლიეს ფაქტები, ან არ შეისწავლეს ისინი. როდესაც მას იურისული წინასწარ განუმარტავს, რომ მისი საქმე თურმე ამ უკანასკნელმაც (უზენაესმა სასამართლომ) კი რაღაც მიზეზთა გამო შესაძლოა, არც განიხილოს, რა თქმა უნდა, ძნელი გასაგები და ასახსნელია. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისათვის საბაჟო მოსაკრებელი დავის ღირებულე-

ტი, სტრასბურგის სასამართლო დავას არ განიხილავს, თუ მოშივანს არ აქვს განვლილი უზენაესი სასამართლოს ინსტანცია და მოქალაქე იძულებულია, ეს გზა ფორმალურად მაინც გაიაროს.

ევროპასთან ურთიერთობა არ ნიშნავს ყველაფრის, მათ შორის, მიუღებელი კანონის საქართველოში გადმოტანას. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეს საკონსტიტუციო სასამართლოს აკონტროლებს. თუ უზენაესი სასამართლო დაუშვებს, რომ მისი გადაწყვეტილებით შეიზღუდა ადამიანის ფუნდამენტური უფლება, საკონსტიტუციო

შირებულმა ბოლო შემთხვევამაც „წამაქეზა“. ჩემმა მეგობარმა ყველაფერი გააკეთა თავისი უფლებების დასაცავად, აიყვანა ადვოკატი და როდესაც იფიქრა, რომ სიმართლეს უზენაეს სასამართლოში მაინც მიაღწევდა, სწორედ მაშინ მოეცარა ხელი. სამმა მოსამართლემ მისი სარჩელი ხსენებული მიზეზების გამო საერთოდაც არ განიხილა.

და ბოლოს, უზენაესი სასამართლოს საქმეთა განხილვის პოლიტიკა მართლაც შესაცვლელია. ვერ ვიტყვით, რომ უმაღლეს ორგანოში მომუშავე მოსამართლეებს ეს არ სურთ, უბრალოდ, კანონი არ აძლევს მეტ უფლებებს.

ლევან ჭილაძე



